

# წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების კვლევა საჯარო სკოლებში

საქართველოს საგანმანათლებლო და სამეცნიერო  
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო,  
გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისი

*საქართველო, 2013*

## შინაარსი

გლოსარიუმი.....	3
წინასიტყვაობა .....	4
კვლევის შედეგების ზოგადი მიმოხილვა.....	5
შესავალი.....	10
სანიტარიულ- ჰიგიენური პირობების მნიშვნელოვნება სკოლაში.....	10
სკოლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის პირობების უზრუნველყოფის (WASH) გლობალური ინიციატივა და საქართველო .....	11
სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები სკოლებში მსოფლიოსა და საქართველოში.....	12
კვლევის სტრატეგია .....	14
მიზანი და საკვლევი საკითხები .....	14
მეთოდოლოგია და შერჩევის სტრატეგია.....	15
ინსტრუმენტი და საველე სამუშაოები .....	16
ძირითადი მიგნებები .....	19
წყალი .....	19
წყლის ძირითადი წყაროს ტიპები.....	19
წყლის ძირითადი წყაროს ფუნქციონირება და წყლის მარაგი.....	22
სასმელი წყლის უვნებლობა .....	24
სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის .....	27
სანიტარია .....	29
სან-კვანძების ტიპები.....	29
ტუალეტის ჯიხურების რაოდენობა და გეგმარება .....	31
სან-კვანძების ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის.....	32
ჰიგიენა.....	34
ხელსაბანების რაოდენობა და მდგომარეობა .....	34
ხელსაბანების ხელმისაწვდომობა.....	35
პირადი ჰიგიენა და ჰიგიენის სწავლება სკოლაში.....	35
ოპერირება და ტექნიკური გამართულობა.....	38
ტუალეტის ჯიხურების ფუნქციონირება და ზოგადი მდგომარეობა.....	38
ხელსაბანების მდგომარეობა და სისუფთავე.....	40
ნარჩენები .....	42
მყარი ნარჩენების გატანა.....	42
ჩამდინარე წყლები .....	43
ზოგადი ინფორმაცია სკოლების შესახებ .....	44
კვების ობიექტი.....	47

სკოლის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობაზე განკუთვნილი რესურსები .....	50
სამედიცინო მომსახურება და მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა .....	52
სკოლის მიმდინარე საჭიროებები .....	53
დანართები .....	0

# გლოსარიუმი

<b>WASH Water, Sanitation, and Hygiene</b>	სკოლებსა და სკოლამდელ დაწესებულებებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის პირობების უზრუნველყოფის გლობალური ინიციატივა
<b>UNICEF/ United Nations Children's Fund</b>	გაეროს ბავშვთა ფონდი
<b>CEE/ Central and Eastern Europe</b>	ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპა
<b>WHO/ World Health Organisation</b>	მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია
<b>CIS/ Commonwealth of Independent States</b>	დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (CIS)
<b>MDG/ Millenium Development Goals</b>	ათასწლეულის განვითარების მიზნები

## წინასიტყვაობა

მოცემული დოკუმენტი საქართველოს საჯარო სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების შესწავლის პირველ ფართომასშტაბიან მცდელობას წარმოადგენს. კვლევა განხორციელდა 2013 წლის შემოდგომაზე საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სააგენტოს მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერით. სავსე სამუშაოები განახორციელა კვლევითმა ორგანიზაცია ბისიჯიმ.

კვლევის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები და ძირითადი დასკვნები საქართველოს 600 საჯარო სკოლის საზოგადოების წარმომადგენელი სხვადასხვა ჯგუფების - მოსწავლეების, მასწავლებლების, სკოლის ადმინისტრაციისა და დირექტორების მიერ მოწოდებულ ინფორმაციას, ასევე 600 საჯარო სკოლის სანიტარიულ-ჰიგიენურ პირობებსა და მოსწავლეების ქცევაზე პირდაპირი დაკვირვების შედეგებს ეყრდნობა.

მნიშვნელოვანია, რომ კვლევის ფარგლებში მოპოვებული შედეგების მიხედვით, საქართველოში შექმნილი მდგომარეობა შესაძლებელია შევადაროთ სხვა ქვეყნებსაც, რადგან მონაცემები შეგროვებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ შემუშავებული სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების გლობალური შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგიის (WASH) მიხედვით და შესაბამისი სტანდარტიზებული ინდიკატორებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით.

ამასთანავე, კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც საწყისი ბაზა საქართველოში სამომავლოდ დაგეგმილი ინტერვენციების შედეგებისა და მიღწეული პროგრესის შესაფასებლად.

საჯარო სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის ეროვნული კვლევა უფრო ფართო ინიციატივის - საქართველოს სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების კომპლექსური პროექტის შემადგენელი კომპონენტია. აღნიშნული პროექტი გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივ ინიციატივას წარმოადგენს. იგი მიზნად ისახავს ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში წყლის, ჰიგიენისა და სანიტარიის სტანდარტების შემუშავებას, ამ კუთხით ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მონიტორინგის გამართული სისტემის ამოქმედების ხელშეწყობასა და ზოგადი განათლების ფარგლებში ჰიგიენის სწავლების პროცესის მხარდაჭერას მასწავლებელთა გადამზადებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების შექმნის გზით.

## კვლევის შედეგების მოკლე მიმოხილვა

### ზოგადი მდგომარეობა:

სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობებისა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება საქართველოში ზოგადი განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და პარტნიორი დონორი ორგანიზაციები აღიარებენ, რომ ამ კუთხით ეფექტური ინტერვენციების განსახორციელებლად აუცილებელია არსებული მდგომარეობის სისტემურად შესწავლა, საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური და წყლის მდგომარეობის მკაფიო და დეტალური სტანდარტების ამოქმედება და მონიტორინგის გამართული სისტემის შექმნა. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სააგენტოსა და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ განხორციელებული ეროვნული კვლევა ამ მიმართულებით გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს.

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ ზოგადად, საქართველოს საჯარო სკოლებში დღეისათვის არასახარბიელო მდგომარეობაა წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის (WASH) საერთაშორისო სტანდარტის ყველა ძირითადი პუნქტის მიხედვით. მდგომარეობა შედარებით უკეთესია დედაქალაქისა და სხვა ურბანული დასახლებების სკოლებში, ვიდრე სოფლად. სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების მონიტორინგის კუთხით განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს ნაციონალური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონები - სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი, სადაც ყველა ინდიკატორის მიხედვით მდგომარეობა სხვა რეგიონებთან შედარებით უარესია.

საქართველოს საჯარო სკოლების საზოგადოების წარმომადგენლების (დირექტორების, ადმინისტრაციის, მასწავლებლებისა და მოსწავლეების) აზრით, სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესების მნიშვნელოვან წინაპირობას, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ღონისძიებებთან ერთად, სკოლაში ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება წარმოადგენს.

### წყალმომარაგება და სასმელი წყლის უზენბლობა:

*WASH-ის საერთაშორისო სტანდარტის ამ პუნქტის დასაკმაყოფილებლად სკოლას უნდა გააჩნდეს წყალმომარაგების გამართული სისტემა, რომლის მეშვეობითაც მიეწოდება საკმარისი რაოდენობის უსაფრთხო სასმელი წყალი და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთათვის.*

*დამატებით განმარტებებში მითითებულია, რომ ამ სტანდარტის დასაკმაყოფილებლად სკოლებს წყალი უწყვეტად უნდა მიეწოდებოდეთ წყალმომარაგების მილსადენი სისტემით ან სხვა გაუმჯობესებული წყლის წყაროებიდან, როგორც არის დაცული ჭა ან დაცული წყარო. სკოლა უნდა აკმაყოფილებდეს წყლის უზენბლობის სტანდარტებს, რაც სასმელი წყლის გეგმიური შემოწმების შედეგად დგინდება. სასმელი წყლის წერტილები განთავსებული უნდა იყოს შენობის შიგნით.*

საქართველოს საჯარო სკოლებში არსებული მდგომარეობა შემდეგია:

- წყალმომარაგების მილსადენი სისტემით საჯარო სკოლების დაახლოებით 70% სარგებლობს. სკოლების 4% ქალაქად და 12% სოფლად წყლის ძირითად წყაროდ არაგაუმჯობესებულ წყაროებს იყენებს. სკოლების 70%-ში წყალმომარაგების მილსადენი სისტემა არ არის შეყვანილი სკოლის შენობაში.
- წყლის წყაროების და მათ შორის სასმელად ვარგისი წყლის წყაროების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანად განსხვავდება სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით და რეგიონალურ ჭრილში:
  - სოფლის სკოლების ნაწილში (6%), დაკვირვების მომენტისათვის წყალმომარაგების წყარო არც შენობაში და არც მის შემოგარენში არ იყო დაფიქსირებული, წყალმომარაგების მილსადენი სისტემა სკოლების შენობის გარეთ განთავსებულია სოფლის სკოლების 80%-ში.
  - სამცხე-ჯავახეთში, ყოველ მეოთხე შემოწმებულ სკოლაში წყალმომარაგების წყარო არც სკოლის შენობაში და არც მის შემოგარენში იქნა აღმოჩენილი. ზემო სვანეთის რეგიონში კი ყოველი მეათე გამოკვლეული სკოლა წყალმომარაგების ძირითად წყაროდ არაგაუმჯობესებულ წყაროებს იყენებს.
- გამოკვლეული სკოლების მეათედში კვლევის მომენტისათვის წყალმომარაგების ძირითადი წყარო არ ფუნქციონირებდა. ამ სკოლების აბსოლუტური უმეტესობა სოფლად მდებარეობს. ცალკეულ სკოლებში წყალმომარაგების წყარო თვეების განმავლობაშია მწყობრიდან გამოსული. სკოლების მეხუთედს წყალი გრაფიკით მიეწოდება. სკოლების ნახევარი კი წყლის შესანახად რეზერვუარებსა და წყლის შესანახ ჭურჭელს იყენებს.
- სასმელი წყლის ხარისხი საქართველოს სკოლებში სათანადო რეგულაციებით არ მოწმდება. 2010 წლის შემდეგ წყლის ხარისხის შემოწმება სკოლების მხოლოდ 10%-ში განხორციელდა. წყლის გაუვნებელობა არასოდეს განუხორციელებია სკოლების 70%-ზე მეტს, მათ შორის იმ სკოლების 60%-საც, რომლებიც წყლის ძირითად წყაროდ არაგაუმჯობესებულ წყაროებს - დაუცველ ჭას და დაუცველ წყაროს იყენებენ.

## სანიტარია

სანიტარიის კუთხით WASH-ის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად სკოლას უნდა გააჩნდეს სათანადო რაოდენობით და გამართული ტუალეტის ჯიხურები გოგონებისათვის, ბიჭებისათვის და მასწავლებლებისათვის, რომელიც ასევე ხელმისაწვდომი და მოხერხებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.

დამატებით განმარტებებში განსაზღვრულია ტუალეტის ჯიხურების განსხვავებული ფარდობები სხვადასხვა სქესის მოსწავლეთა რაოდენობასთან. კერძოდ, სკოლაში ბიჭებისა და გოგონების თანაბარი რაოდენობის პირობებში, გოგონებისათვის ტუალეტების ჯიხურების რაოდენობა ოდნავ უნდა აღემატებოდეს ბიჭებისას. სკოლაში უნდა იყოს ცალკე ტუალეტის ჯიხურები პედაგოგებისათვის. ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის

*არარსებობის პირობებში სანკვანძი უნდა იყოს განთავსებული შენობის გარეთ არანაკლებ 20 მ-ის და არა უმეტეს 200 მეტრის დაშორებით.*

კვლევის შედეგების თანახმად:

- სკოლების მეოთხედი სან-კვანძების მხოლოდ არაგაუმჯობესებულ ტიპებს იყენებს. ცალკეულ სოფლის და ქალაქის ცალკეულ სკოლებში კვლავაც გამოიყენება დაკიდებული ტუალეტი, სათლი.
- სკოლის შიგნით ტუალეტების ჯიხურები სკოლების მხოლოდ 35%-ს აქვს, სოფლად სკოლის შიგნით სანკვანძი მხოლოდ ყოველ მეხუთე სკოლას აქვს. გარეთ მდებარე ტუალეტის ჯიხურების დაშორება სკოლის შენობიდან 10-200 მეტრის ფარგლებში მერყეობს.
- საქართველოს საჯარო სკოლებში სან-კვანძების რაოდენობა ზოგადად არასაკმარისია მოსწავლეების რაოდენობასთან მიმართებაში. განსაკუთრებით მაღალია ფარდობა ურბანულ დასახლებებში (საშუალოდ 1 ჯიხური 54 მოსწავლეზე) და ცალკეულ რეგიონებში, მაგალითად ქვემო ქართლში (1/55) და კახეთში (1/43). აღსანიშნავია, რომ ჯიხურების რაოდენობა არ განსხვავდება სკოლაში მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით. განსხვავებას ჯიხურების რაოდენობაში ძირითადად განაპირობებს ის, თუ სად არის განთავსებული სკოლა - დედაქალაქში, სხვა ურბანულ დასახლებაში თუ სოფლად.
- სკოლების აბსოლუტურ უმეტესობაში (რამდენიმე მცირეკონტიგენტის სოფლის სკოლის გარდა) ფუნქციონირებს ცალკე ტუალეტი გოგონებისა და ბიჭებისათვის, თუმცა ჯიხურების რაოდენობა გოგონებისა და ბიჭებისთვის თითქმის ყველგან ტოლია.
- მასწავლებლებისათვის ცალკე ტუალეტი ფუნქციონირებს სკოლების დაახლოებით ნახევარში. ამ შემთხვევაშიც სურათს არა სკოლის ზომა, არამედ დასახლების ტიპი განსაზღვრავს.
- ტუალეტის ჯიხურების მოწყვლადი ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით საქართველოს საჯარო სკოლებში ზოგადად არაადაამკმაყოფილებელი მდგომარეობაა. შშმ საჭიროებებზე მორგებული ტუალეტები არ არის იმ სკოლებშიც, სადაც შშმ პირები ირიცხებიან. ეს პრობლემა განსაკუთრებით თვალსაჩინოა დედაქალაქსა და სხვა ურბანულ დასახლებებში.

### **ჰიგიენა**

*WASH-ის სტანდარტების თანახმად, ჰიგიენის თვალსაზრით სკოლაში არსებული მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად ითვლება, თუ სკოლას გააჩნია გამართული ხელსაბანები, სადაც ყოველთვის ხელმისაწვდომია საპირი სკოლის მოსწავლეებისათვის და სკოლაში ისწავლება ჰიგიენა.*

კვლევის შედეგების თანახმად:

- ყოველ მეათე საჯარო სკოლაში, კვლევის მონაცემებით, ფუნქციონირებადი ხელსაბანი არ არის. ქვეყნის მასშტაბით ამ ზოგად სურათს განაპირობებს ამ კუთხით მძიმე მდგომარეობა სოფლის სკოლებში (15%).
- სკოლების აბსოლუტურ უმეტესობაში ხელსაბანებთან არ არის საპონი, პირსახოცი ან ხელსახოცი.
- ხელსაბანების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის და შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, დაკვირვების თანახმად მდგომარეობა უარესია სოფლებში. ზოგადად, ხელსაბანები ხელმისაწვდომია შშმ მოსწავლეებისათვის საჯარო სკოლების დაახლოებით ნახევარში, ხოლო დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის - 80%-ში.
- სკოლების დაახლოებით მესამედში ხელსაბანი ტუალეტის ჯიხურთან ან მის ახლოს არ არის.
- დაკვირვების თანახმად, საპირფარეოში შესვლის შემდეგ მოსწავლეების ნახევარი ხელს არ იბანს, ამ კუთხით მნიშვნელოვანი განხვავება არ არის გენდერულ ჭრილში, ისევე როგორც ქალაქად და სოფლად.
- სკოლების დირექტორების 90%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ მოსწავლეები სწავლობენ ხელების დაბანის, პირის ღრუს ჰიგიენასთან, სხეულის და თმების მოვლასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა დირექტორების მხოლოდ 10%-მა დარწმუნებით აღნიშნა, რომ მის სკოლაში არსებობს სულ მცირე 1 მასწავლებელი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება ჰიგიენის სწავლების საკითხებში. სკოლების 86%-ს არ აქვს დამხმარე სახელმძღვანელო ჰიგიენის სწავლების საკითხებში. გამოკითხული დირექტორების აბსოლუტური უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს სკოლაში ამგვარი სახელმძღვანელოს არსებობას.

### მყარი ნარჩენები და ჩამდინარე წყლები

*საერთაშორისო სტანდარტის თანახმად სკოლაში რეგულარულად უნდა ხორციელდებოდეს მყარი ნარჩენების გატანა და ჩამდინარე წყლები უნდა გაედინებოდეს უსაფრთხოდ.*

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ:

- მყარი ნარჩენების გატანის თვალსაზრისით, უკეთესი მდგომარეობა ქალაქად, ვიდრე სოფლად. სოფლის სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ურნები გადავსებულია ყოველ მეოთხე სკოლაში, მაშინ როდესაც ქალაქში იგივე მაჩვენებელი 3-4%-ს შეადგენს. სოფლის სკოლების თითქმის ნახევარში ნაგავი იწვება სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე. სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში ეს მაჩვენებელი 70%-ს შეადგენს.
- სოფლად საკანალიზაციო სისტემა (მათ შორის არასრულყოფილი და ნაწილობრივი) აქვს სკოლების მხოლოდ 40%-ს, ქალაქში ეს მაჩვენებელი ორჯერ მაღალია, ხოლო თბილისში საკანალიზაციო სისტემა ყველა გამოკვლეულ სკოლაში ფუნქციონირებს.

- იმ სკოლების უმეტესობაში, სადაც საკანალიზაციო სისტემა არ მოქმედებს, არ არსებობს ფეკალური მასის დაცლის ან გატანის გამართული გრაფიკი. დირექტორების ინფორმაციით, ნახმარი წყალი უსაფრთხოდ გაედინება საკანალიზაციო სისტემაში მხოლოდ სკოლების 13%-ში, უმეტესად ნახმარი წყალი სკოლის ეზოს ტერიტორიაზე (48%) ან სპეციალურ არხში იღვრება (27%).
- ჩამდინარე წყლების დაცლის თვალსაზრისით რეგიონალურ ჭრილში ყველაზე მძიმე მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაფიქსირდა.

## ოპერირება

*საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სკოლას უნდა გააჩნდეს წყლისა და სანიტარიის ობიექტების მართვის ქმედუნარიანი სისტემა, რაც უზრუნველყოფს სან-კვანძების გამართულ ფუნქციონირებასა და სისუფთავეს.*

საქართველოში ამ კუთხით სტანდარტი დარღვეულია, კერძოდ:

- ქვეყნის მასშტაბით დაკვირვების მონაცემებით სუფთად ჩაითვალა ტუალეტის ჯიხურების მხოლოდ ნახევარი, მწყობრიდან გამოსული იყო დაახლოებით ყოველი მეხუთე გამოკვლეული ჯიხური. ზოგადად, სკოლების უმეტესობაში ტუალეტის ჯიხურებთან არ არის ტუალეტის ქაღალდი.
- ტუალეტის ჯიხურების ფუნქციონირების, ისევე როგორც სისუფთავის მაჩვენებლები უფრო მაღალია ქალაქად, ვიდრე სოფლად. საინტერესოა, რომ თუკი სან-კვანძების გამართულობის თვალსაზრისით თბილისში ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა, ჯიხურების სისუფთავის კუთხით მდგომარეობა თბილისში სხვა ურბანული დასახლებების მსგავსია - დაკვირვების შედეგებით სუფთად ჩაითვალა დათვალიერებული ჯიხურების მხოლოდ 60%, ხოლო სოფლად- შესწავლილი ჯიხურების დაახლოებით ნახევარი.
- ხელსაბანების მდგომარეობის თვალსაზრისით სურათი ისე მკვეთრად არ განსხვავდება ქალაქსა და სოფელს შორის, როგორც ტუალეტების შემთხვევაში. თუკი ტუალეტები უკეთეს მდგომარეობაში იყო ქალაქად, ხელსაბანების ფუნქციონირებისა და სისუფთავის თვალსაზრისით სოფელში უკეთესი მდგომარეობაა. თბილისში სუფთად ჩაითვალა დათვალიერებული ხელსაბანების მხოლოდ ნახევარი, ხოლო სოფლად - დაახლოებით 70%.
- აღსანიშნავია, რომ სან-კვანძების სისუფთავე არ არის დაკავშირებული სკოლებში წყალმომარაგების მილსადენი სისტემის არსებობასთან, რადგან წყალმომარაგების მილსადენი სისტემის მქონე სკოლებში სან-კვანძების და ხელსაბანების სისუფთავის მაჩვენებლები ბევრად უკეთესი არ არის. სავარაუდოდ, სან-კვანძების სისუფთავის პრობლემებს წყალმომარაგების პრობლემებთან ერთად მოვლა-პატრონობის ხარვეზები და ჰიგიენური წესების დარღვევაც განაპირობებს.

## სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების მნიშვნელოვნება სკოლაში

სასწავლო დაწესებულებებში სანიტარიისა და ჰიგიენის მოთხოვნების უზრუნველყოფა კონსტიტუციით გათვალისწინებული განათლების უფლების განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს, რადგან არაადექვატური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები უარყოფით გავლენას ახდენს მოსწავლეთა ჯანმრთელობაზე, სწავლის მოტივაციაზე, სკოლაში დასწრების მაჩვენებლებსა და სწავლის შედეგებზე<sup>1</sup>.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის შეფასებით თანამედროვე მსოფლიოში დაავადებათა საერთო ტვირთის 88% შეიძლება თავიდან იქნეს აცილებული სასმელი წყლის ხარისხის გაუმჯობესების, ადექვატური სანიტარიის, ჰიგიენის და წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების გზით<sup>2</sup>.

საერთაშორისო კვლევები, აგრეთვე, ცხადყოფს, რომ:

თუკი მსოფლიოში ყველას ექნებოდა წვდომა გამართულ და უსაფრთხო წყალმომარაგების სისტემაზე, სკოლებში დასწრების მაჩვენებლები წლის განმავლობაში 1863 მილიონი დღით გაიზრდებოდა<sup>3</sup>. სანიტარიის საბაზო მოთხოვნების უზრუნველყოფის პირობებში სკოლაში მდებარეობითი სქესის მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებლები საშუალოდ 11%-ით გაიზრდება<sup>4</sup>.

დიარეების 40 %-ზე მეტი შემთხვევა სასკოლო ასაკის ბავშვებში სკოლებში დასწრების შედეგია<sup>5</sup>. საპნით ხელების დაბანას შეუძლია 25 %-ით შეამციროს მწვავე რესპირატორული დაავადებები, მათ შორის პნევმონია.

გამართული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები სკოლებში ხელს უწყობს გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფას<sup>6</sup>.

არადამაკმაყოფილებელი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების მქონე სკოლების მოსწავლეების მოსწრების მაჩვენებლები მათემატიკისა და წიგნიერების სტანდარტიზირებულ ტესტებში უფრო დაბალია<sup>7</sup>.

<sup>1</sup> United Nations (UN) United Nations; New York, NY, USA: 2011. The Millennium Development Goals Report 2011; Mathekgana M.A., Chauke L.K., Otieno F.A. Improvement of environmental health and hygiene practices—Case study in the Northern province. Water Sci. Technol. 2001; Haines L., Rogers J. A study of drinking facilities in schools. Nurs. Times. 2000.

<sup>2</sup> Prüss-Ustün, A et al (2008). *Safer water, better health: costs, benefits and sustainability of interventions to protect and promote health*. Geneva, World Health Organization

<sup>3</sup> World Health Organization. Water, sanitation and hygiene standards for schools in low-cost settings. 2003.

<sup>4</sup> World Health Organization (WHO) The World Health Report 2002, Reducing Risks, Promoting Healthy Life. Available online:[http://www.who.int/whr/2002/en/whro2\\_en.pdf](http://www.who.int/whr/2002/en/whro2_en.pdf)

<sup>5</sup> Joint call for Action, 2010, Raising Clean Hands. UNICEF.

<sup>6</sup> Joint call for Action, 2010, Raising Clean Hands. UNICEF

კიდევ ერთი მიზეზი, რის გამოც სკოლებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფა საზოგადოებისათვის უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, არის სკოლის გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა მოსწავლეთა ზოგადი სოციალური ჩვევებისა და ქცევის წესების ჩამოყალიბებაზე. შესაბამისად, სკოლაში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესება, აგრეთვე აუმჯობესებს სანიტარიისა და ჰიგიენის ზოგად პრაქტიკას საზოგადოებაში<sup>8</sup>

## **სკოლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის პირობების უზრუნველყოფის (WASH) გლობალური ინიციატივა და საქართველო**

საგანმანათლებლო დაწესებულებებში სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფის მნიშვნელოვნებიდან გამომდინარე, ეს საკითხი მსოფლიო პრიორიტეტად ჩამოყალიბდა.

საკითხისადმი საერთაშორისო და ადგილობრივი ინტერესის მკაფიო დადასტურებას სკოლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის პირობების უზრუნველყოფის (WASH) გლობალური ინიციატივა წარმოადგენს. აღნიშნული ინიციატივის მიზანია, ხელი შეუწყოს სკოლებში უსაფრთხო და ჯანსაღი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფას და ჰიგიენის სწავლების პრაქტიკის გაუმჯობესებას, რაც მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტურობის საწინდარია.

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენური პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, ადეკვატური სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების მქონე სკოლა უზრუნველყოფს საკმარისი რაოდენობისა და სათანადო ხარისხის წყალს სკოლის ყველა საჭიროების დასაკმაყოფილებლად. სკოლას, აგრეთვე, უნდა ჰქონდეს საკმარისი რაოდენობის პრივატული, სუფთა და უსაფრთხო სან-კვანძები მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. სკოლაში უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის პირსაბანები, მათ შორის ტუალეტებთან. სან-კვანძები ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა ასაკისა და, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისათვის. ჰიგიენის სწავლება უნდა წარმოადგენდეს სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელ ნაწილს, რათა ხელი შეუწყოს ჰიგიენისა და სანიტარიის ნორმების განმტკიცებასა და შესაბამისი პრაქტიკის დანერგვას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებსა და საზოგადოებაში.

წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენური პრაქტიკის ეს და სხვა სტანდარტები ჩამოყალიბებულია ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა (WHO) და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) 2009 წლის სახელმძღვანელოში: „წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის სტანდარტი სკოლებისათვის“ (Water, Sanitation and Hygiene Standards for Schools in Low-cost Settings). ზოგიერთ ქვეყანაში უკვე მოქმედებს WHO/UNICEF-ის მიერ რეკომენდებული შესაბამისი ეროვნული სტანდარტები.

<sup>7</sup> Durán-Narucki V. School building condition, school attendance, and academic achievement in New York City public schools: A mediation model. J. Environ. Psychol. 2008;

<sup>8</sup> Freeman M.C., Greene L.E., Dreibelbis R., Saboori S., Muga R., Brumback B., Rheingans R. Assessing the impact of a school-based water treatment, hygiene and sanitation programme on pupil absence in Nyanza province, Kenya: A cluster-randomized trial. Trop. Med. Int. Health. 2011.

საქართველო, ისევე როგორც მსოფლიოს ბევრი სხვა ქვეყანა, ამ რეკომენდაციებზე დაყრდნობით სკოლების წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკუთარი ეროვნული სტანდარტების შემუშავების პროცესშია.

## **სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები სკოლებში მსოფლიოსა და საქართველოში**

გაეროს ბავშვთა ფონდის, დონორი ორგანიზაციების, არასამთავრობო და სამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევით მიუხედავად, წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური მდგომარეობა სკოლებში გლობალურად შემამოფოთებელია. გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შესწავლილ 60 ქვეყანაში, სადაც ხდება წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის პირობების გაუმჯობესებაზე მუშაობა, ნახევარს არ აქვს ინფორმაცია წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენური პირობების შესახებ სკოლებში, და მათ შორის, რომელთაც აქვთ მონაცემთა ბაზა, მხოლოდ 1/3 აქვს შესაბამისი სანიტარიული პირობები, 1/2-ს კი დამაკმაყოფილებელი წყალმომარაგება. (UNICEF. ყოველწლიური მოხსენება, 2009).

წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების თვალსაზრისით საქართველოს სკოლებში არსებული ვითარება შესწავლილი დღემდე არ არის, თუმცა ამ კუთხით ქვეყანაში შექმნილ არასახარბიელო მდგომარეობაზე რამდენიმე ირიბი ინდიკატორი მიანიშნებს:

საერთაშორისო კვლევების თანახმად, საგანმანათლებლო სექტორში ინფრასტრუქტურის მდგომარეობა კორელაციაშია განათლების დანახარჯების წილთან მთლიან შიდა პროდუქტსა და სახელმწიფო დაფინანსებაში. ამ მაჩვენებლებით საქართველო კვლავაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო მაჩვენებლებს მსოფლიოს მასშტაბით.

ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, დიარეის შემთხვევები ბავშვებს შორის საქართველოში იზრდება. კერძოდ, დიარეების შემთხვევების რიცხვი 2011 წელს გაიზარდა 19575-მდე (0-14 წლის ბავშვებში - 12993) რაც 2006 წლის მაჩვენებელს 2,6-ჯერ აღემატება. დიარეების მატება გაგრძელდა 2012 წელსაც - დაფიქსირდა სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეების 26062 შემთხვევა (0-14 წლის ბავშვებში - 19289), რაც 2011 წლის მაჩვენებლებს 1,5-ჯერ (33 %-ით) აღემატება. 2012 წელს ასევე გამოხატულია დიზენტერიის მატების ტენდენცია, კერძოდ ქვეყანაში აღირიცხა ბაქტერიული დიზენტერიის 546 შემთხვევა (0-14 წლის ბავშვებში - 431), რაც 40%-ით მეტია, ვიდრე გასულ 2011 წელს - 390 (0-14 წლის ბავშვებში - 329) შემთხვევა.

აღიშნული უპირველეს ყოვლისა დაკავშირებული უნდა იყოს გარემოს არაკეთილსაიმედო სანიტარიულ-ჰიგიენურ მდგომარეობასთან.

2008 წლის ივნისში გაეროს ბავშვთა უფლებების დაცვის კომიტეტის მიერ გამოქვეყნებული მოხსენების თანახმად, ჰიგიენის წესების უგულვებელყოფა ქართველი ბავშვებისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ამ საკითხზე კვლევა ჯერ არ განხორციელებულა, რამდენიმე მცირემასშტაბიანმა შეფასებამ და დაკვირვებებმა აჩვენა, რომ მოსწავლეებს

არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის საკითხების შესახებ, ასევე რიგ შემთხვევებში არაადეკვატურია სკოლის ინფრასტრუქტურა და მოსწავლეთა ჰიგიენური ქცევა.

საქართველოს სკოლებში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია განათლების პოლიტიკის პრიორიტეტს წარმოადგენს და ამ მიმართულებით ბიუჯეტის მნიშვნელოვანი ასიგნებები და დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერაც გამოიყოფა. თუმცა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და პარტნიორი დონორი ორგანიზაციები აღიარებენ, რომ ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისაკენ მიმართული ღონისძიებების ეფექტურად დაგეგმვა და განხორციელება შეუძლებელია ამ მხრივ სკოლებში არსებული მდგომარეობის შეფასებისა და მონიტორინგის გამართული სისტემის არსებობის გარეშე. შესაბამისად, საქართველოში ამ ეტაპისათვის პრიორიტეტულ ამოცანებს წარმოადგენს:

- სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისათვის მკაფიო სტანდარტების ჩამოყალიბება.
- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში მოქმედ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (EMIS) სკოლების ინფრასტრუქტურის თაობაზე, განსაკუთრებით კი წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების შესახებ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ინტეგრირება;
- სტანდარტების საფუძველზე სკოლების ავტორიზაციის მოთხოვნების დაკონკრეტება;
- სკოლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის პირობების მონიტორინგის ეფექტური სისტემის ამოქმედება.
- სკოლაში ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება - მასწავლებლების გადამზადება და მათთვის დამხმარე სახელმძღვანელოების უზრუნველყოფა.

საქართველოს სკოლებში წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენური ნორმების დაკმაყოფილებისა და ბავშვთა ჯანმრთელობისა და განათლების მიღწევების გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, გაეროს ბავშვთა ფონდის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპისა (CEE) და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (CIS) რეგიონალური ოფისების რეკომენდაციებით, გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს ოფისმა დაიწყო სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების გაუმჯობესების პროექტი, რომელიც ყველა ზემოთაღნიშნულ კომპონენტზე კომპლექსურ მუშაობას გულისხმობს.

საქართველოში წყლის, სანიტარიულ და ჰიგიენურ პირობებთან დაკავშირებული ინფორმაციის ნაკლებობიდან გამომდინარე, პროგრამის საწყის ეტაპზე დაიგეგმა ფართომასშტაბიანი კვლევის ჩატარება საქართველოს საჯარო სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური მდგომარეობის შესწავლის მიზნით.

# კვლევის სტრატეგია

## მიზანი და საკვლევი საკითხები

სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების კვლევის მიზანია წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის ინფრასტრუქტურისა და სასკოლო ასაკის ბავშვებში ჰიგიენის წესების დაცვის ქცევის შესახებ მონაცემების შეგროვება საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო სკოლებში.

კვლევის დასკვნები გამოყენებული იქნება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში წყლის, ჰიგიენისა და სანიტარიის პირობების გაუმჯობესების პოლიტიკის ფორმულირებისათვის, ისევე როგორც რესურსების განაწილებისას გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

კვლევის ფარგლებში მონაცემები ხუთი ძირითადი საკითხის ირგვლივ შეგროვდა, რომლებიც გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული წყლის, სანიტარიისა და ჰიგიენის მონიტორინგის სახელმძღვანელოს WASH - ის კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველზე შეიქმნა და ეროვნული სტანდარტის სამუშაო ვარიანტის ძირითად პუნქტებს ემთხვევა. ეს საკითხებია:

### წყალი:

წყალმომარაგების წყაროები და წყლის უვნებლობა  
წყლის ოდენობა  
წყლის ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის

### სანიტარია:

ტუალეტის ჯიხურების ოდენობა და მდებარეობა  
ტუალეტის ჯიხურების განაწილება და ხელმისაწვდომობა გენდერულ ჭრილში  
ტუალეტის ჯიხურების ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის

### ჰიგიენა:

ხელსაბანი ნიჟარების ოდენობა და განაწილება  
საპონი/ტუალეტის ქაღალდის ხელმისაწვდომობა  
ჰიგიენის სწავლების პრაქტიკა სკოლაში

### ნარჩენები:

მყარი ნარჩენების გატანა  
ჩამდინარე წყლის გადინება

### ოპერირება:

წყალმომარაგების ობიექტების გამართულობა  
სანიტარიული ობიექტების გამართულობა და სისუფთავე

გარდა ამისა, კვლევის ფარგლებში შეგროვდა ზოგადი ინფორმაცია სკოლის შენობის მდგომარეობის, სკოლაში კვების ობიექტების ფუნქციონირების, სამედიცინო მომსახურების,

მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ზედამხედველობისა და სკოლის მიმდინარე საჭიროებების შესახებ.

კვლევის ფარგლებში მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენდა სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების თვალსაზრისით განსხვავებების იდენტიფიცირება სკოლის ადგილმდებარეობისა (თბილისი/სხვა ქალაქი/სოფელი) და რეგიონის მიხედვით. ასევე, აქცენტი გაკეთდა სანიტარიული საშუალებების ხელმისაწვდომობაზე, მათ შორის ეთნიკური უმცირესობების მაღალი წილის მქონე სკოლებში, დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის და ბავშვებისათვის, რომლებმაც აქვთ გარკვეული ფიზიკური შეზღუდვები.

## მეთოდოლოგია და შერჩევის სტრატეგია

კვლევა მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ კომპონენტებს. კერძოდ, კვლევის ჩასატარებლად გამოყენებული იქნა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული სკოლებში წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების გლობალური შეფასებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სამ ძირითად მეთოდს: ა) სკოლის დირექტორებთან/ადმინისტრატორებთან პირისპირ ინტერვიუს, ბ) ინფრასტრუქტურასა და მოსწავლეთა ჰიგიენურ ქცევაზე დაკვირვებასა და გ) სკოლის მოსწავლეებითა და მასწავლებლებით დაკომპლექტებული ფოკუსური ჯგუფების დისკუსიებს.

კვლევის გენერალურ ერთობლიობას წარმოადგენდა 2013 წლისათვის საქართველოში მოქმედი საჯარო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები (2085 სკოლა).

რაოდენობრივი კომპონენტისათვის შერჩევის ზომად განისაზღვრა 600 სკოლა. შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებული იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული სკოლების სია.

კვლევისათვის გამოყენებულ იქნა სტრატეგიული შერჩევა. სტრატეგიკაციის ნიშნებს წარმოადგენდა:

- რეგიონი
- დასახლების ტიპი (ქალაქი/სოფელი)
- ეთნიკურობა - სწავლების ენა (ქართული/არაქართული ერთენოვანი/მრავალენოვანი)

სულ საქართველოს სკოლები დაიყო 35 სტრატად. შერჩევის მთელი მოცულობა (600 სკოლა) გადანაწილდა სტრატებში სკოლების რაოდენობის პროპორციულად. სკოლების შერჩევა ყოველ სტრატაში განხორციელდა მარტივი შემთხვევითი შერჩევის საშუალებით.

რაოდენობრივი კომპონენტის შედეგების ცდომილება არ აღემატება 5% ქვეყნის დონეზე, ხოლო 10%-ს რეგიონის დონეზე. 95%-იანი საიმედოობით, ცდომილების მნიშვნელობები სტრატებში შეადგენს:

- თბილისი - 11%
- ქალაქები - 8-13 %
- სოფლები - 3.9%

თვისებრივი კომპონენტის ფარგლებში ფოკუსური ჯგუფები ჩატარდა საჯარო სკოლებში დედაქალაქსა და საქართველოს რამდენიმე რეგიონში. კერძოდ, კახეთში, ქვემო ქართლსა და

მცხეთა–მთიანეთში. ფოკუსური დისკუსიები შედგა სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან. დისკუსიებისათვის სკოლების შერჩევას გათვალისწინებული იყო სკოლის ზომა (დიდი, პატარა), ადგილმდებარეობა (დედაქალაქი, სხვა ქალაქი, სოფელი, მთიანი რეგიონი) და ეთნიკური უმცირესობით დაკომპლექტებული სკოლები.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია სკოლები და ის სამიზნე აუდიტორია, რომლებიც იქნა ჩართული ფოკუსურ დისკუსიებში:

სამიზნე აუდიტორია	ფოკუსური ჯგუფების რაოდენობა	ფოკუსური ჯგუფების ჩატარების ადგილი
მოსწავლე (ბიჭები: 5–8 კლასი)	1 (8-10 მონაწილე)	თელავი
მოსწავლე (გოგონები: 8–12 კლასი)	2 (8-10 მონაწილე)	თბილისი შულავერი
მასწავლებელი	2 (8-10 მონაწილე)	თბილისი დუშეთი

რიგ შემთხვევებში, ფოკუსური ჯგუფები ჩატარდა სკოლის გარეთ, ნეიტრალურ ადგილას, რამაც გაამარტივა სხვადასხვა სკოლებიდან რესპოდენტების შერჩევის პროცედურა. სხვა შემთხვევებში, ფოკუსური ჯგუფების სკოლებში ჩატარებამ მკველვარს საშუალება მისცა ერთის მხრივ ადგილზე დაეთვალიერებინა სკოლის სანიტარიულ–ჰიგიენული პირობები და დაეფიქსირებინა პრობლემები; ხოლო მეორეს მხრივ, გაეზარდა რესპოდენტთა მოტივაცია, რამდენადაც მკველვარის ადგილზე ვიზიტს რესპოდენტები მათი პრობლემებით რეალურ დაინტერესების ნიშნად აღიქვამდნენ.

## ინსტრუმენტი და სავლე სამუშაოები

დირექტორთა კითხვარი, დაკვირვების ფორმა და სახელმძღვანელოები ფოკუს ჯგუფებისათვის შეიქმნა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ შემუშავებული WASH-ის მეთოდოლოგის ფარგლებში, სტანდარტიზირებულ ფორმებზე დაყრდნობით. კვლევის ინდიკატორები განხილულ იქნა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტებთან და გაეროს ბავშვთა ფონდთან თანამშრომლობით.

გაეროს ბავშვთა ფონდის ოფისმა საქართველოში, აგრეთვე, მონაწილეობა მიიღო კვლევის ინსტრუმენტების შემუშავებაში, ინტერვიუების/დამკვირვებლების ტრენინგში ინსტრუმენტების გამოყენების წესებსა და სპეციფიური ტერმინოლოგიის გამოყენებაში და ტექნიკურ დახმარებას უწევდა კვლევით ჯგუფს ანგარიშზე მუშაობის ეტაპზე.

სულ კვლევის ფარგლებში შემუშავდა ოთხი ინსტრუმენტი: დაკვირვების ფორმა, დირექტორთა და სკოლის ადმინისტრაციის კითხვარი და ორი განსხვავებული სახელმძღვანელო ფოკუსური დისკუსიებისათვის. სავლე სამუშაოებს წინ უძღვოდა ინსტრუმენტების პილოტაჟი.

საველე სამუშაოები განხორციელდა კვლევითი კომპანიის, ბისიჯის მიერ 2013 წლის შემოდგომის დასასწყისში.

### ველის მიმდინარეობა და შენიშვნები მონაცემებთან დაკავშირებით

- კვლევისათვის შერჩეულ სკოლის დირექტორებს, კვლევითმა კომპანიამ მიმართა წერილობით. კვლევის საკითხების განმარტებისა და კვლევის მნიშვნელოვნების გაცნობის შედეგად, სკოლის დირექტორები იჩენდნენ მაღალ ინტერესს. სკოლის დირექტორები თავად განმარტავდნენ, რომ კვლევაში მათი ჩართულობა და ინტერესი პრობლემების სიმწვავეთა და ამ პრობლემებით დაინტერესებული მხარის გამოჩენით იყო გამოწვეული;
- ერთეულ შემთხვევებში, სკოლის დირექტორებმა უარი განაცხადეს კვლევაში მონაწილეობაზე კვლევითი ორგანიზაციიდან მიღებული წერილის საფუძველზე. თუმცა, ადგილობრივ საგანმანათლებლო რესურს ცენტრთან კომუნიკაციის შემდეგ, ეს პრობლემა დადებითად გადაწყდა და სკოლებმა კვლევაში მონაწილეობა მიიღეს;
- კვლევის მიმდინარეობისას, ერთეულ შემთხვევებში, საჭირო გახდა შერჩეული სკოლების ჩანაცვლება შერჩევის დამატებითი ბაზიდან, რაც უკავშირდებოდა სკოლებში მიმდინარე სარემონტო სამუშაოებს ან სკოლის ძირითადი შენობის უფუნქციობას, რა დროსაც, მოსწავლეები გადანაწილებულები იყვნენ სხვადასხვა კერძო შენობებში;
- გამოკითხული სკოლების მდგომარეობა სანიტარიისა და ჰიგიენის მხრივ ძალიან განსხვავებულია, რაც, გარდა ადგილმდებარეობისა, დამოკიდებულია სხვა მრავალ ფაქტორზე, როგორცაა, სკოლის ზომა, მოსწავლეთა შემადგენლობა, სკოლის ტრადიცია, სკოლის მართვა და სხვა. შესაბამისად, კითხვარში მოცემულ მთელ რიგ საკითხებზე, მიღებული პასუხების დიაპაზონი ფართოა.
- ძირითად შემთხვევებში, ინფორმაცია სეზონული გაცდენების შესახებ დირექტორის დაახლოებით შეფასებას ეფუძნება და არა სტატისტიკას. როგორც დირექტორები აღნიშნავენ, ამ ტიპის აღრიცხვა სკოლებში აღარ ხდება. ასევე, სოფლებში, გაცდენების მაღალი წილი უკავშირდება შემოდგომას. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების წარმოების აქტიური პერიოდის გამო, რომელშიც ჩართულები არიან მოსწავლეები;
- მკვლევარების დაკვირვებით, სკოლებში, შეინიშნებოდა მობილიზება კვლევაში მონაწილეობის შესახებ წერილის მისვლის შემდეგ. სკოლები გამოიყურებოდა უფრო სუფთად, მოწესრიგებულ მდგომარეობაში, ვიდრე, მკვლევარების აზრით, ჩვეულებრივ პირობებში, გაუფრთხილებლად მისვლის შემთხვევაში იქნებოდა. მკვლევარებმა დაასახელეს სკოლის დამლაგებლებთან ან მწესთან გასაუბრების არაერთი ფაქტი, როდესაც, მათ დირექტორისგან წინასწარ მიიღეს შეტყობინება დასუფთავებაზე ან ინფრასტრუქტურის შეკეთებაზე.

- რიგ შემთხვევებში, კვლევის საკითხებზე სკოლებში არსებულ მდგომარეობას სხვადასხვა მიმართულებით არ აქვს ზოგადი ხასიათი, არამედ ინტერვიუს ჩატარების დღეს უკავშირდება. მაგ.: შემთხვევა, როდესაც ინტერვიუს პროცესის დროს მოხდა საპირფარეოს დემონტაჟი ან ბუფეტის დაკეტვა რამდენიმე დღით, რაც დაკავშირებული იყო სკოლებში კვების მომსახურების გამწევი კომპანიის ცვლილებასთან.
- მკვლევარების დაკვირვებით, ზოგ შემთხვევაში, მხოლოდ მათი ვიზიტისას მოხდა სკოლაში წყლის გაშვება. მათი აზრით, სკოლაში, როგორც წესი, წყალი გადაკეტილია წყლის ეკონომიის მიზნით.
- აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სკოლის დირექტორები, განსაკუთრებით თბილისში, მწვავედ განიცდიან წყლის გადასახადის პრობლემას. სკოლის დირექტორების აზრით, სკოლებში წყლის გადასახადი არ უნდა ანგარიშდებოდეს იმ პრინციპით, როგორც კერძო კომპანიებში, არამედ, მათთვის უნდა იყოს დაწესებული სკოლისთვის მისაღები/შეღავათიანი ტარიფი.
- მკვლევარების რეკომენდაციით, მსგავსი ტიპის კვლევის ჩატარებისას, უმჯობესია, თუ ერთ სკოლაში იმუშავენს ორი მკვლევარი – ერთი მკვლევარი კითხვარის საშუალებით მიიღებს ინფორმაციას სკოლის შესახებ, ხოლო მეორე მკვლევარი დააკვირდება სკოლის ინფრასტრუქტურას და ჰიგიენურ ქცევას. ამ შემთხვევაში, თავიდან ავირიდებთ დირექტორის ინფორმაციით მიღებულ გავლენას, რაც გაზრდის დაკვირვების პროცესის ობიექტურობას.

# ძირითადი მიგნებები

## წყალი

**ინდიკატორი:** სკოლას გააჩნია წყალმომარაგების გამართული სისტემა, რომლის მეშვეობითაც მიეწოდება საკმარისი რაოდენობის, უსაფრთხო სასმელი წყალი და იგი ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია მოსწავლეებისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონეთათვის.

### წყლის ძირითადი წყაროს ტიპები

საქართველოს სკოლების წყალმომარაგების ძირითად წყაროს მილსადენის მეშვეობით მიწოდებული წყალმომარაგების სისტემა წარმოადგენს, რომლითაც ჯამურად სკოლების 70%-ზე მეტი სარგებლობს. თუმცა, სურათი მნიშვნელოვნად განსხვავდება როგორც სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით, ისე რეგიონულ ჭრილში (ცხრილი 1, დანართი 2).

ზოგადად, წყალმომარაგების და მათ შორის სასმელად ვარგისი წყალმომარაგების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით ყველაზე უკეთესი მდგომარეობა თბილისშია, შემდეგ - სხვა ქალაქებში. ყველაზე უარესი მდგომარეობა კი, კვლევის თანახმად, სოფლად დაფიქსირდა.

სოფლად წყალმომარაგების მილსადენი სისტემა ხელმისაწვდომია სკოლების 67 %-თვის, მათ შორის უმეტესობაში (80%) წყალმომარაგების მილსადენი არა სკოლის შენობის შიგნით, არამედ სკოლის გარეთაა განთავსებული. აღსანიშნავია, რომ სოფლის სკოლების ნაწილში (6%), დაკვირვების შედეგებით, წყალმომარაგების წყარო არც შენობაში და არც მის შემოგარენში არ არის.


**ცხრილი 1 წყლის ძირითადი წყაროები სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით (სკოლების %- დაკვირვების შედეგები)**

ტიპი	წყლის ძირითადი წყარო	ქალაქი	სოფელი	თბილისი	სულ
გაუმჯობესებული	წყალი მილსადენიდან სკოლის შენობაში	61%	15%	100%	30%
	წყალი მილსადენიდან სკოლის ეზოში	28%	45%	0%	38%
	წყალი მილსადენიდან (მეზობელთან)	1%	2%	0%	2%
	წყალი მილსადენიდან (საზოგადო მოხმარების)	1%	5%	0%	4%
	ჭის წყალზე მიერთებული მილი	4%	6%	0%	5%
	დაცული ჭა	1%	9%	0%	7%
	დაცული წყარო	0%	0%	0%	0%
	შეგროვებული წვიმის წყალი	0%	0%	0%	0%
არაგაუმჯობესებული	დაუცველი ჭა	1%	2%	0%	2%
	დაუცველი წყარო	1%	3%	0%	3%
	ცისტერნა განთავსებული დიდ საზიდ მანქანაზე	1%	1%	0%	1%
	ბოთლის წყალი	1%	6%	0%	4%
სკოლაში ან მის შემოგარენში წყალი არ არის		0%	6%	0%	4%

წყალმომარაგების მილსადენი სისტემის ხელმიუწვდომლობის პირობებში, წყლის ხარისხისა და უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, მიზანშეწონილია ე.წ. წყლის გაუმჯობესებელი წყაროების მოხმარება, როგორცაა დაცული წყარო და დაცული ჭა. სამწუხაროდ, სოფლის და ქალაქის სკოლების ნაწილში (შესაბამისად, 5% და 2%) წყალმომარაგების ძირითადი წყაროები (ჭა, წყარო) არ არის დაცული. წყალი მილსადენით სკოლის შენობაში შეყვანილია სოფლის სკოლების მხოლოდ 15% -ში.

საერთო ჯამში, წყლის გაუმჯობესებულ წყაროებს მოიხმარს საჯარო სკოლების 86%, სოფლის სკოლების 12%-ში ძირითად წყაროდ წყლის არაგაუმჯობესებელი წყაროები გამოიყენება. (წყლის წყაროების დაჯგუფების წესი გაუმჯობესებელი და არაგაუმჯობესებელი ტიპების მიხედვით მოცემულია დანართში 1).


სქემა 1 წყლის ძირითადი წყაროები დასახლების ტიპის მიხედვით (დაკვირვების შედეგები)



წყლის წყაროების ტიპების მიხედვით განსხვავებები რეგიონულ ჭრილშიც იკვეთება (სქემა 2). წყალმომარაგების კუთხით განსაკუთრებით მძიმე სურათი გამოვლინდა სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში, ყოველ მეოთხე შემოწმებულ სკოლაში (24%) წყალმომარაგების წყარო არც სკოლის შენობაში და არც მის შემოგარენში იქნა აღმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ასეთი სკოლების უმეტესობა ეთნიკური უმცირესობებით არის დაკომპლექტებული (დეტალური ინფორმაცია ეთნიკური უმცირესობების სკოლების შესახებ მოცემულია დანართში 9)

სასმელად ვარგისი წყლის წყაროების გამოყენების თვალსაზრისით შედარებით ცუდი მდგომარეობაა, აგრეთვე, ზემო სვანეთის რეგიონში, სადაც, დაკვირვების მონაცემებით, სკოლების 20%-მდე ძირითად წყაროდ არაგაუმჯობესებულ წყაროებს იყენებს.

სქემა 2 წყლის ძირითადი წყაროები სკოლაში რეგიონალურ ჭრილში (დაკვირვების შედეგები)



მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან ფოკუსური დისკუსიების შედეგებით, სკოლების დიდ ნაწილში სასმელი წყლის ალტერნატიულ წყაროს ბოთლის წყალი წარმოადგენს. ბოთლის წყალი ინტენსიურად გამოიყენება თბილისშიც, სადაც წყლის ცენტრალური წყალმომარაგება გამართულად მუშაობს<sup>9</sup>.

თბილისის სკოლების მასწავლებლებისა და მოსწავლეების აზრით, ბოთლის წყლის გამოყენება მოსახერხებელია როგორც მოსწავლეებისათვის, ისე მასწავლებლებისათვის, რადგან:

*“თუ წყალი მოსწყურდებათ, ამისთვის არ მოუწევთ გაკვეთილის დატოვება”, “სასმელი წყლისთვის არ მოუწევთ სასაუზმეში გასვლა, რაც არც ისე კომფორტულია, განსაკუთრებით დაბალი კლასის მოსწავლეებისათვის”, “საკუთარი ბოთლით წყლის დაღევა უფრო ჰიგიენურია, ვიდრე სასაუზმეში, იმ ჭიქით, რომლითაც მთელი სკოლა სვამს”.*

აღსანიშნავია, რომ სოფლის სკოლებში, სადაც რიგ შემთხვევაში ბოთლის წყლის გამოყენება უფრო აუცილებლობას წარმოადგენს, ვიდრე ფუფუნებას, მოსწავლეებს ხშირად სახლიდან უწევთ წყლის ბოთლით წამოღება ან წყლის მეზობლებისათვის გამორთმევა. ეს კი დამატებით პრობლემებთანაა დაკავშირებული, განსაკუთრებით დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის:

<sup>9</sup> ბოთლის წყლის მოხმარება მიიჩნევა „არაგაუმჯობესებულად“, როდესაც მის შესავსებად გამოიყენება დაუცველი წყაროდან აღებული წყალი, სათანადო დამუშავების გარეშე. ამასთან, ბოთლის წყლის გამოყენება ყველა შემთხვევაში გულისხმობს მოხმარებული წყლის რაოდენობის შეზღუდვას, ამიტომაც მიიჩნევა არაგაუმჯობესებულად.

*”უწყლობა პატარებისთვის უფრო რთულია. მათ უჭირთ მაცხოვრებლებში გადასვლა წყლისთვის ან, გადადიან და შემდეგ ვეღარ ასწრებენ გაკვეთილზე მობრუნებას. წყალი სახლიდან უნდა წამოიღონ სკოლაში, მაგრამ ბავშვები ისედაც შორი გზიდან მოდიან მძიმე ჩანთით” (სოფლის სკოლის მასწავლებელი)*

რეგიონის საჯარო სკოლების მასწავლებელთა შეფასებები სკოლაში სასმელი წყლის უზრუნველყოფასა და ვარგისიანობასთან დაკავშირებით ზოგადად არაერთგვაროვანია. ერთის მხრივ, ამ მიმართულებით საუბრისას მასწავლებლები არსებულ მდგომარეობას ადარებენ წარსულ დროსა და გამოცდილებას, მაშინ, როდესაც სასმელი წყალი პრობლემა არა მარტო სკოლას, არამედ ზოგადად რეგიონს ჰქონდა. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, რესპონდენტების აზრით, მდგომარეობა გაუმჯობესებულია. თუმცა, მეორეს მხრივ, რეგიონის და, მათ შორის, სკოლების ინფრასტრუქტურა „შესაბამის მდგომარეობაში არ დახვდა სასმელი წყლით უზრუნველყოფას“.

*”როდესაც კაპიტალური რემონტი გაკეთდა სკოლებში, რაიონი არ მარავდებოდა სამელი წყლით. ამიტომ, არ გაითვალისწინეს წყლის სისტემის მოწყობა”.*

ამ ამონარიდის თანახმად, რაიონებში წყალმომარაგების მილსადენი სისტემის არსებობის პირობებში სკოლების ნაწილი კვლავ ე.წ. „ბაკის“ სისტემას იყენებს.


*” რეგიონში წყლის არარსებობის პირობებში, ონკანის დადგმის საკითხიც კი არ დამდგარა სკოლებში. ახლა, როდესაც წყალი მოდის, არ გვაქვს ონკანი. არადა, ონკანი ეზოში ძალიან მნიშვნელოვანია” (სკოლის მასწავლებელი, რაიონის საჯარო სკოლა).*

ზოგადად, ფოკუსური დისკუსიების შედეგებიდან ჩანს, რომ საქართველოს რეგიონების წყლით მომარაგების გაუმჯობესებამ დღის წესრიგში დააყენა სკოლის შენობაში სასმელი წყლის სისტემის გამართვა, ონკანების გამოცვლა და მათი დაკავშირება ცენტრალურ კვანძთან, „ბაკის“ გარეშე. აგრეთვე, წყალმომარაგების გრაფიკის გაუმჯობესების აუცილებლობა.

## **წყლის ძირითადი წყაროს ფუნქციონირება და წყლის მარაგი**


კიდევ ერთ პრობლემას სკოლების ნაწილში (სოფლად და ქალაქებში) წყალმომარაგების ძირითადი წყაროს გაუმართაობა ან შეფერხებით ფუნქციონირება წარმოადგენს. დაკვირვების მომენტისათვის, დაახლოებით ყოველ მეათე გამოკვლეულ სკოლაში წყალმომარაგების ძირითადი წყარო არ ფუნქციონირებდა (11%). ამ სკოლების უმეტესობა (90%) სოფლად მდებარეობს.

სქემა 3 ფუნქციონირებს თუ არა წყლის ძირითადი წყარო? (დაკვირვების მონაცემები დასახლების ტიპის მიხედვით)




წყალმომარაგების ძირითადი წყაროს ფუნქციონირების თვალსაზრისით უარესი მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთში, ისევე როგორც ქვემო და შიდა ქართლში. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთის სკოლების მესამედში, დაკვირვების მომენტისათვის, წყლის ძირითადი წყარო არ მუშაობდა. სამცხე-ჯავახეთშიც და ქვემო ქართლშიც ამ კრიტერიუმის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავებებია არაქართულენოვან და ქართულენოვან სკოლებს შორის. დირექტორების მონაცემებით ცალკეულ სკოლებში წყალმომარაგების წყარო თვეების განმავლობაშია მწყობრიდან გამოსული, ხოლო სოფლის ორ სკოლაში - წლების განმავლობაში.

სქემა 4 ფუნქციონირებს თუ არა ძირითადი წყარო? (დაკვირვების მონაცემები რეგიონის ჭრილში)



თუკი სოფლის სკოლებისათვის ძირითად პრობლემას წყალმომარაგების ძირითადი წყაროს მწყობრიდან გამოსვლა ქმნის, ქალაქად (თბილისის გარდა) წყლის ხელმისაწვდომობის შემზღვეველ გარემოებად წყალმომარაგების მილსადენი სისტემის გრაფიკის არსებობა წარმოადგენს.

სქემა 5 წყალმომარაგების უწყვეტობა დასახლების ტიპის მიხედვით (წყალმომარაგების მილსადენი სისტემის მქონე სკოლების დირექტორების პასუხები /გამოკითხვის მონაცემები)




წყალმომარაგების ძირითადი წყაროს შეფერხებით ფუნქციონირების შედეგია ის, რომ სკოლების 30% ძირითადი წყაროს პარალელურად ალტერნატიულ წყაროებსაც ინტენსიურად მოიხმარს. ალტერნატიულ წყაროებს ქალაქად სკოლების დაახლოებით ნახევარი მოიხმარს, სოფლად - 30%, ხოლო თბილისში - 10%. ყოველი მეათე გამოკითხული დირექტორის აზრით, ძირითადი წყაროს გამართულად ფუნქციონირების შემთხვევაშიც კი, წყალი არ არის საკმარისი სკოლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. ამ მხრივ სურათი განსხვავდება სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით - ქალაქად ამ პრობლემას დირექტორების 4% აღნიშნავს, ხოლო სოფლად - 12%. სკოლების დაახლოებით ნახევარში წყალს სპეციალურ ჭურჭელში ან რეზერვუარში ინახავენ.

### სასმელი წყლის უზრუნველყოფა

მიუხედავად იმისა, რომ სკოლების დიდ ნაწილში სასმელი წყლის უზრუნველსაყოფად დაუცველი წყაროები და წყლის რეზერვუარები გამოიყენება, სასმელი წყლის ხარისხი სათანადო რეგულარობით არ მოწმდება. დირექტორების მონაცემებით, 2010 წლის შემდეგ სასმელი წყლის ხარისხის შემოწმება სკოლების მხოლოდ მეათედში განხორციელდა. მაჩვენებელი შედარებით მაღალია ქალაქებში (თბილისის გარდა), სადაც ამგვარი შემოწმება სკოლების მეოთხედში ჩატარდა.

სქემა 6 ჩატარდა თუ არა თქვენს სკოლაში სასმელი წყლის ხარისხის შემოწმება 2010 წლის შემდეგ (დაახ %/ დირექტორთა გამოკითხვის შედეგები)




დამკვირვებლების მიერ შეფასებული იქნა სკოლაში მოხმარებული სასმელი წყლის ორგანოლექტიკური მაჩვენებლები (ფერი, სუნი და გემო). შემოწმდა როგორც ონკანის, ისე ჭურჭელში დაცული წყალი. დაკვირვების მონაცემებით, ჭურჭელში შენახული წყლის ფერი, სუნი და გემო სკოლების უმეტესობაში კარგია, ამ მხრივ არ გამოვლინდა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები სოფელსა და ქალაქს შორის, ისევე როგორც რეგიონულ ჭრილში.

დაკვირვების თანახმად, სასმელი წყლის შესანახი ჭურჭელი სკოლებში ძირითადად სუფთაა და თავდახურული, ინახება უსაფრთხო ადგილას (სტანდარტის თანახმად წყლის შესანახი ჭურჭელი არ უნდა იდგეს იატაკზე), თუმცა ჭურჭელში წყლის შენახვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარღვევას სკოლების ნაწილში ჩამჩის არგამოყენება წარმოადგენს. დაკვირვების თანახმად, წყლის ამოსაღებად ჩამჩა არ გამოიყენება ყოველ მეხუთე სკოლაში, რომელიც წყლის შესანახ ჭურჭელს იყენებს, ხოლო სოფლის სკოლებში ჩამჩების ნაწილს არ აქვს სახელური.

ვიზუალური დაკვირვებით ონკანის წყლის ხარისხი, ზოგადად, უფრო დაბალია ვიდრე ჭურჭელში შენახული წყლის ხარისხი. ასევე, ონკანის წყლის ხარისხში განსხვავებაა სკოლის მდებარეობის, ისევე როგორც დასახლების ტიპის მიხედვით.

დამკვირვებლების მონაცემებით, ზოგიერთ შემთხვევაში წყალი მღვირე იყო და მოყვებოდა ჭიები. ეს ცალკეული შემთხვევები სამცხე-ჯავახეთის სოფლის სკოლებში გამოვლინდა. ონკანის წყალს ცუდი გემო ჰქონდა, ასევე, შიდა და ქვემო ქართლის სკოლების მეოთხედშიც.


სქემა 7 „სასმელ წყალს კარგი ფერი, სუნი და გემო აქვს (სკოლების%) რეგიონულ ჭრილში (დაკვირვების შედეგები)



საინტერესოა, აგრეთვე, რომ დირექტორების მონაცემებით, სასმელი წყლის გაუვნებელობა არასოდეს განუხორციელებია სკოლების 70%-ზე მეტს, მათ შორის იმ სკოლების 60%-საც,

რომლებიც წყლის მომარაგების ძირითად წყაროდ არაგაუმჯობესებულ წყაროებს (დაუცველი ჭა, დაუცველი წყარო) იყენებენ.

სქემა 8 რა სიხშირით ახორციელებთ სასმელი წყლის გაუვნებელოფას ? (დირექტორების პასუხების განაწილება წყლის წყაროების მიხედვით/ გამოკითხვის შედეგები).



დირექტორების მონაცემებით წყალს იმიტომ არ ასუფთავებენ, რომ სკოლას არა აქვს ფილტრები, საკმარისი ქიმიური რეაქტივები ან სხვა შესაბამისი მოწყობილობები წყლის გასასუფთავებლად. უმეტეს შემთხვევებში მიზეზი ისაა, რომ სკოლაში არავინ იცის, როგორ გააუვნებელოფოს წყალი.

სასმელი წყლის ხარისხი, აგრეთვე, აქტუალური იყო სკოლის მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან დისკუსიისას. დისკუსიაში ჩართული რეგიონული და სოფლის სკოლების მასწავლებლებსა და მოსწავლეებს არ აქვთ სარწმუნო ინფორმაცია წყლის სასმელად ვარგისიანობის შესახებ:

*“მე რამდენადაც ვიცი, მოსწავლეებს არ აძლევენ იმის უფლებას, რომ ბაკის წყალი დალიონ” (მასწავლებელი, თელავი).*

*“დედა მატანს სახლიდან, ონკანი შელახულია და შეიძლება ბინძური წყალი მოდიოდეს”.*

*”მე ყოველთვის ონკანის წყალს ვსვამდი, მაგრამ ზოგი ამბობს, რომ ბაკის წყალია და სასმელად არ ვარგაო.” (მოსწავლე, თელავი).*

დუშეთის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში ვიზიტისას ცალკეულ მასწავლებლებთან გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ „*დამლაგებელი შორ გზას გადის წყაროდან იმ წყლის მოსატანად, რომელიც უფრო სასიამოვნო დასალევია, ვიდრე ის წყალი, რომლითაც რაიონი მარაგდება*”.

ამავე რაიონის მეორე სკოლის დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ წყლის მიღება შესაძლებელია მხოლოდ ბუფეტის მოძველებული ონკანიდან, რომელიც არამიმზიდველად გამოიყურება, ასევე, დაზიანებულია თავად ონკანი. „*ბაკიდან*“ წამოსული წყლის ვარგისიანობა ამ სკოლაშიც ეჭვის ქვეშ დგას და როგორც ბუფეტის თანამშრომელი აღნიშნავს, *“ბაკის წყლის დალევას არავის არ ურჩევს”*.

ქვემო ქართლის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მოსწავლეები კი პირდაპირ საუბრობენ სასმელი წყლის დაბალ ხარისხზე:

*”ონკანის წყალი მლაშეა. რამდენჯერმე დავლიე და გულის რევის შეგრძნება მქონდა”  
(მოსწავლე, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლის სკოლა).*

## სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის

ჰიგიენისა და სანიტარიის ზოგადი სტანდარტების თანახმად, რეკომენდირებულია სასმელი წყლის წერტილების შენობის შიგნით არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში იზღუდება სასმელი წყლის ხელმისაწვდომობა მოსწავლეთა გარკვეული ჯგუფებისთვის (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეები, დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები), ისევე როგორც ყველა მოსწავლისათვის ცუდ ამინდში. დაკვირვების შედეგებით, სასმელი წყლის წერტილები სკოლის შიგნით გამოკვლეული სოფლის სკოლების მხოლოდ 30%-ში დაფიქსირდა, მაშინ როდესაც ქალაქად და თბილისში სკოლის შიგნით სასმელი წყლის წერტილები აქვს სკოლების დაახლოებით 80%-ს.

**ცხრილი 2** სასმელი წყლის წერტილები სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით (სკოლების % -დაკვირვების შედეგები)

	წყლის შესანახი ჭურჭელი	წყლის ონკანი სკოლის შიგნით	შადრევანი სკოლის შიგნით	წყლის ონკანი სკოლის გარეთ	შადრევანი სკოლის გარეთ
სულ	42%	41%	3%	59%	9%
სხვა ქალაქები	53%	79%	7%	40%	14%
სოფელი	43%	29%	2%	70%	7%
თბილისი	10%	79%	6%	58%	8%

რეგიონალურ ჭრილში ამ ინდიკატორის მიხედვით ყველაზე ცუდი მდგომარეობა არის სამცხე-ჯავახეთში, კახეთსა და ქვემო ქართლში, სადაც შესწავლილი სკოლების შენობის შიგნით სასმელი წყლის ონკანი განთავსებულია შესაბამისად 19%, 26 % და 29 %-ში.

**ცხრილი 3** სასმელი წყლის წერტილები რეგიონალურ ჭრილში (სკოლების % - დაკვირვების შედეგები)

	წყლის შესანახი ჭურჭელი	წყლის ონკანი სკოლის შიგნით	ფანტანი სკოლის შიგნით	წყლის ონკანი სკოლის გარეთ	ფანტანი სკოლის გარეთ
იმერეთი	77%	41%	3%	62%	16%
კახეთი	15%	26%	4%	87%	2%
ქვემო ქართლი	34%	29%	3%	47%	4%
შიდა ქართლი	47%	38%	2%	62%	4%
სამცხე-ჯავახეთი	29%	19%	0%	53%	8%
გურია	54%	46%	7%	71%	7%
აჭარა	14%	53%	0%	73%	14%

მცხეთა-მთიანეთი	24%	32%	0%	76%	12%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	64%	50%	6%	57%	6%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთი	79%	37%	0%	95%	5%

დაკვირვების მონაცემებით, სასმელი წყლის ონკანები (ყველა ან ნაწილი) ხელმისაწვდომია შეზღუდული შესაძლებლობის მოსწავლეებისათვის სკოლების მხოლოდ ნახევარში, ხოლო დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის - 84%-ში.

სასმელი წყლის ონკანების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით დაწყებითი კლასის და შშმ მოსწავლეებისათვის შედარებით უკეთესი მდგომარეობა გამოვლინდა თბილისში, ვიდრე სხვა ქალაქებსა და სოფლებში. რეგიონალურ ჭრილში სასმელი წყლის ონკანების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომობა შედარებით დაბალია შიდა ქართლსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში (ამ რეგიონების ყოველ მეხუთე სკოლაში წყლის არცერთი ონკანი არ არის ხელმისაწვდომი დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის). შშმ მოსწავლეთათვის წყლის ონკანების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა იმერეთში, კახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში, სადაც სკოლების დაახლოებით ნახევარში ამ ჯგუფისათვის ხელმისაწვდომი არ არის სასმელი წყლის არცერთი ონკანი.

უნდა აღინიშნოს, რომ რეალური სურათი დაკვირვების შედეგებთან შედარებით შეიძლება უარესიც იყოს, რადგან დამკვირვებლებს, წინასწარ ჩატარებული ინსტრუქტაჟის მიუხედავად, მაინც უჭირთ სპეციალური საჭიროებების მქონე ჯგუფებისათვის წყლის წყაროების ხელმისაწვდომობის შეფასება.

დღეისათვის საქართველოში არ მოქმედებს შშმ მოსწავლეებისათვის მორგებული ინფრასტრუქტურის მკაფიო და დეტალური სტანდარტები და, შესაბამისად, ამ კუთხით არც მონიტორინგის მექანიზმი მოქმედებს. სკოლების ავტორიზაციის სტანდარტში სკოლების ინფრასტრუქტურის შშმ მოსწავლეების ხელმისაწვდომობის კუთხით ჩადებული მოთხოვნა ძალიან ზოგადია და დაკონკრეტებას საჭიროებს.

სასმელი წყლის წერტილების მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი განსხვავებებია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში (სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი) ქართულენოვან და არაქართულენოვან სკოლებს შორის. მაგალითად, სამცხე-ჯავახეთში სასმელი წყლის წერტილების შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი ორჯერ უფრო დაბალია არაქართულენოვან სკოლებში.

---

## სანიტარია

---

*ინდიკატორი: სკოლას გააჩნია სათანადო რაოდენობით და გამართული ტუალეტის ჯიხურები გოგონებისათვის, ბიჭებისათვის და მასწავლებლებისათვის, რომელიც ასევე ხელმისაწვდომი და მოხერხებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის.*

### სან-კვანძების ტიპები

კვლევაში ჩართული სკოლების აბსოლუტურ უმრავლესობაში არის ტუალეტი (ერთი სკოლის გარდა). ტუალეტის ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს თურქული ჩეჩმა კეთილმოწყობილი დასადგომით. დაკვირვების შედეგებით, სკოლის შიგნით ტუალეტების ჯიხურების 31 %-ია განლაგებული, ხოლო გარეთ- 69%. გარეთ მდებარე ტუალეტის ჯიხურების დაშორება სკოლის შენობიდან 10-200 მეტრის ფარგლებში მერყეობს (საშუალო დაშორება - 25 მ). სოფლად სკოლის შენობის შიგნით სანკვანძი განლაგებულია სკოლების მხოლოდ 19%-ში, ქალაქად- 79%-ში, ხოლო თბილისში 100%-ში. რეგიონების ჭრილში ამ მხრივ ყველაზე მძიმე მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთსა და გურიაში, სადაც შენობის შიგნით სან-კვანძი აქვს შესაბამისად სკოლების მხოლოდ 15%-ს და 18%-ს. საზიარო სან-კვანძი სხვა დაწესებულებასთან დაფიქსირდა სოფლის ერთ სკოლაში. *(დეტალური ინფორმაცია რეგიონალურ ჭრილში მოცემულია დანართში 5)*

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, გარე სანიტარიული კვანძი, რომელიც არ არის მიერთებული ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემას სკოლის შენობიდან დაშორებული უნდა იყოს არანაკლებ 20 და არაუმეტეს 100 მეტრით. საქართველოს საჯარო სკოლებში ამ ტიპის გარე სანიტარიული კვანძები 20 მეტრზე უფრო ახლო მანძილზეა განთავსებული სკოლების 20 %-ში, ხოლო უფრო შორს ვიდრე 100 მეტრზე - სკოლების 2%-ში.

ცხრილში 4 მოცემულია მონაცემები სან-კვანძების ტიპების შესახებ სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სოფლის სკოლების დაახლოებით მესამედი და ქალაქის სკოლების დაახლოებით მეათედი მხოლოდ ე.წ. არაგაუმჯობესებელ სანკვანძებს იყენებს. კერძოდ, სოფლის სკოლების 8 %-ში ჯერ კიდევ არის დაკიდებული ტუალეტი, ქალაქის და სოფლის სკოლების 2 % იყენებს სათლს. სოფლის სკოლების 12 %-ს აქვს თურქული ჩეჩმა, რომელსაც არ გააჩნია კეთილმოწყობილი დასადგომი. *(სან-კვანძების დაჯგუფების ინსტრუქცია გაუმჯობესებული და არაგაუმჯობესებული ტიპების მიხედვით მოცემულია დანართში)*

საინტერესოა, რომ სკოლაში წყალმომარაგების მილსადენი სისტემის არსებობა, ძირითადად, არ განაპირობებს იმას, რომ სკოლაში გაუმჯობესებული ტუალეტებია. წყალმომარაგების მილსადენი სისტემის არმქონე სკოლების 30% სან-კვანძების მხოლოდ არაგაუმჯობესებულ ტიპებს იყენებს, ეს მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ასევე წყალმომარაგების მილსადენი სისტემის მქონე სკოლებშიც, და 20%-ს შეადგენს.


ცხრილი 4  
შედეგები

სან-კვანძები დასახლების ტიპის მიხედვით (სკოლების %, რამდენიმე პასუხი - დაკვირვების


ტიპი	სანკვანძის სახეები	ქალაქი	სოფელი	თბილისი
გაუმჯობესებული	ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	50.00%	7.10%	92.20%
	ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია სეპტიკურ რეზერვუარზე/ზაკზე	3.00%	12.50%	0.00%
	ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია "თურქული/ჩეჩმა" ტუალეტზე	9.00%	3.80%	2.00%
	ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია სადაც სხვაგან	3.00%	1.60%	0.00%
	ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია უცნობ ადგილას/არ იცის/არაა დარწმუნებული	3.00%	0.70%	0.00%
	"თურქული/ჩეჩმა" ტუალეტი კეთილმოწყობილი ვენტილაციით	2.00%	0.40%	5.90%
	"თურქული/ჩეჩმა" ტუალეტი კეთილმოწყობილი დასადგომით (ცემენტის ან სხვა მყარი და დაცული იატაკით)	45.00%	44.10%	2.00%
	კომპოსტიური ტუალეტი /ალტერნატივა ჩარეცხვადი ტუალეტისა	6.00%	15.40%	0.00%
არაგაუმჯობესებული	"თურქული/ჩეჩმა" ტუალეტი კეთილმოწყობილი დასადგომის გარეშე – ღია	6.00%	12.00%	0.00%
	სათლი (ვედრო)	2.00%	0.20%	0.00%
	დაკიდებული ტუალეტი /დაკიდებული "თურქული/ჩეჩმა" ტუალეტი	1.00%	8.00%	0.00%
	არ არის ტუალეტი, ბუჩქები/მინდორი	0.00%	0.20%	0.00%
	<b>ვერ მოხერხდა შემოწმება</b>	2.00%	4.20%	0.00%

ჯამურად, მხოლოდ გაუმჯობესებულ სან-კვანძებს იყენებს სკოლების 70%, მხოლოდ არაუმჯობესებულს - 26%. როგორც უკვე აღინიშნა, ამ კუთხით მდგომარეობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით (სოფელი/ქალაქი). რეგიონების მიხედვით ყველაზე მძიმე მდგომარეობა ამ კუთხით გამოიკვეთა მცხეთა-მთიანეთში, სამეგრელოსა და ზემო სვანეთში, სადაც მხოლოდ არაგაუმჯობესებულ სან-კვანძებს, შესაბამისად, სკოლების 70% და 50% იყენებს.

სქემა 9 გაუმჯობესებული და არაგაუმჯობესებული სან-კვანძები სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით (სკოლების % - დაკვირვების შედეგები)



სქემა 10 გაუმჯობესებული და არაგაუმჯობესებული სან-კვანძები რეგიონების მიხედვით (სკოლების % - დაკვირვების შედეგები)



## ტუალეტის ჯიხურების რაოდენობა და გეგმარება

საერთაშორისო სტანდარტების თანახმად, სკოლაში უნდა ფუნქციონირებდეს ცალკე ჯიხურები გოგონებისა და ბიჭებისთვის, ისევე როგორც მასწავლებლებისათვის. ტუალეტის ჯიხურების რაოდენობა მკაცრად უნდა იყოს განსაზღვრული მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით (25 გოგონაზე ერთი უნიტაზი, 30 ბიჭზე - ერთი უნიტაზი). კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ ეს სტანდარტი საქართველოში ირღვევა. კერძოდ, ტუალეტის ჯიხურების რაოდენობა ზოგადად არასაკმარისია - საქართველოს საჯარო სკოლებში საშუალოდ 35 მოსწავლეზე ერთი ტუალეტის ჯიხურია, ქალაქად და თბილისში კი ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო დაბალია (ერთი ტუალეტის ჯიხური 54 მოსწავლეზე). რეგიონალურ ჭრილში ყველაზე უარესი მდგომარეობა დაფიქსირდა ქვემო ქართლსა და კახეთში, სადაც შესაბამისად 55 და 43 მოსწავლეზე ერთი ტუალეტის ჯიხურია.

საინტერესოა, რომ ჯიხურების რაოდენობა არ განსხვავდება სკოლაში მოსწავლეების რაოდენობის მიხედვით. განსხვავებას ჯიხურების რაოდენობაში ძირითადად განაპირობებს ის, თუ სად არის განთავსებული სკოლა - დედაქალაქში, სხვა ურბანულ დასახლებაში თუ სოფლად.

სკოლების უმეტესობაში ფუნქციონირებს ბიჭების და გოგონების ტუალეტები ცალ-ცალკე, თუმცა სკოლების უმეტესობაში ბიჭებისა და გოგონებისათვის ჯიხურების რაოდენობა

ტოლია. მხოლოდ საერთო ტუალეტი არის სოფლის რამდენიმე მცირეკონტინგენტთან სკოლაში (200-მდე მოსწავლე).

მასწავლებლებისათვის ცალკე ტუალეტი ფუნქციონირებს სკოლების დაახლოებით ნახევარში. ამ შემთხვევაშიც სურათს არა სკოლის ზომა, არამედ დასახლების ტიპი განსაზღვრავს. კერძოდ: თბილისში და სხვა ურბანულ დასახლებებში მასწავლებლებისათვის ცალკე ტუალეტი არის დაახლოებით სკოლების 70%-ში, ხოლო სოფლად - მხოლოდ 40%-ში. რეგიონალურ ჭრილში ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს სამცხე-ჯავახეთს, სადაც მაჩვენებელი დაახლოებით 30%-ს შეადგენს.

ფოკუსურ დისკუსიებზე მკაფიოდ გამოჩნდა, თუ როგორ დისკომფორტს უქმნის მასწავლებლებს მათთვის განკუთვნილი სპეციალური ტუალეტის არარსებობა. *”ვცდილობთ გაკვეთილის განმავლობაში, როცა საპირფარეშო დაკავებული არ არის, მაშინ შევიდეთ, გვერიდება”*. დუშეთის ერთ-ერთ სკოლაში, სადაც მასწავლებლებისათვის ცალკე საპირფარეშო არ არის, მოსწავლეები ამბობენ, რომ *„არასოდეს უნახავთ მასწავლებელი რომ შედიოდეს ტუალეტში“*. როგორც დისკუსიის მსვლელობის და შემდეგ დაკვირვებისას ცხადი ხდება, შენობის შიგნით განთავსებული საპირფარეშო, რომელიც მასწავლებლებისთვის იყო განკუთვნილი, ამ სკოლაში მოსწავლეებს დაეთმო, რადგან სკოლაში არ არსებობდა საპირფარეშო, რომლითაც მოსწავლეები ისარგებლებდნენ:

*”საპირფარეშო არის გზის პირას, თუმცა ამორტიზებულია, ამ საპირფარეშოთი სარგებლობს გზაზე გამვლელი ყველა ტურისტი თუ მაცხოვრებელი, იქ ბავშვის გაშვება არ შეიძლება”*.

თუმცა, როგორც აღმოჩნდა, არც შიდა საპირფარეშოა სახარბიელო მდგომარეობაში. საპირფარეშო ორგანოფილებიანია, რომელსაც აქვს ერთი საერთო შესასვლილი. თითო განყოფილებაში არის სამი დამოუკიდებელი ჯიხური. თუმცა საერთო კარებით იკეტება, მაგრამ დამოუკიდებელ განყოფილებებს კარები არ აქვს. ასევე, კარები არ აქვს ჯიხურებს. შესასვლელი არის საკმაოდ პატარა. თუ ამ საპირფარეშოთი სარგებლობს როგორც გოგო, ასევე ბიჭი, მათ ერთ შესასვლელში უწევთ დგომა, ასევე, შესასვლელიდან კარგად ჩანს საპირფარეშოს ჯიხურები, რაც არანაირ პირობას არ ქმნის გოგონებისა და ბიჭების იზოლირებისათვის საპირფარეშოთი სარგებლობის დროს.


არასათანადო სანიტარიული პირობები სკოლებში ეპიდაფეთქებებისა და ჰელმინთებით დაავადების საფრთხეს წარმოქმნის. დირექტორების მონაცემებით, ეპიდაფეთქებას 2012-2013 წლის განმავლობაში მხოლოდ 2 სკოლაში ჰქონდა ადგილი, თუმცა შესაძლოა ეს მონაცემები არც იყოს ზუსტი, რადგან სამედიცინო შემოწმებები, კვლევის თანახმად, სკოლებში ძალიან იშვიათია. მაგალითად, დირექტორების მონაცემებით, ჰელმინთებზე მოსწავლეთა შემოწმება 2012-2013 წელს თბილისის არცერთ სკოლაში არ განხორციელებულა, ხოლო სხვა ურბანულ დასახლებებსა და სოფლად სკოლების მხოლოდ 7-8%-ში ჩატარდა.

## **სან-კვანძების ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისთვის**

ტუალეტის ჯიხურების მოწყვლადი ჯგუფებისთვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით საქართველოს საჯარო სკოლებში ზოგადად არაადაამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. შშმ საჭიროებებზე მორგებული ტუალეტები არ არის იმ სკოლებშიც, სადაც შშმ პირები

ირიცხებიან. ეს სურათი განსაკუთრებით თვალსაჩინოა თბილისსა და სხვა ურბანულ დასახლებებში.

სქემა 11 სან-კვანძების ხელმისაწვდომობა შშმ მოსწავლეებისათვის (სკოლების %)



დაკვირვების მონაცემებით, თბილისსა და სხვა ურბანულ დასახლებებში დაწყებითი კლასის მოსწავლეებისთვის ტუალეტები ხელმისაწვდომია სკოლების 95%-ში ან მეტში, თუმცა მდგომარეობა განსხვავდება დასახლების ტიპის მიხედვით. სოფლად მაჩვენებელი ოდნავ უფრო დაბალია (89%), ასევე საშუალო მაჩვენებლისაგან განსხვავებული სურათი დაფიქსირდა შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში სადაც შესაბამისად აღნიშნული მაჩვენებელი არის 70% და 66%

სოფლად და დედაქალაქს გარეთ ურბანულ დასახლებებში სკოლის ტუალეტების ხელმისაწვდომობის კუთხით დამატებით პრობლემას ქმნის ტუალეტის სკოლის შენობის გარეთ განთავსება.

ქვემო ქართლის რაიონის ერთ-ერთი სოფლის სკოლის მოსწავლეები საუბრობენ საპირფარეომდე მისასვლელ გზაზე, რომელიც წვიმის დროს იტბორება, ხოლო, სიცხიან ამინდებში, საპირფარეოსთან, დიდ ბალახში, ქვეწარმავლები ბუდობენ. თელავში გამოკითხული მოსწავლეების თქმით, საპირფარეოს პირობები დაბალი კლასელების მიერ სარგებლობისთვის შეუსაბამოა, როგორც აცხადებენ არც თავად შედიოდნენ საპირფარეოში დაბალ კლასებში და არც არასდროს დაუნახავთ, რომ დაბალი კლასის მოსწავლე საპირფარეოში შესულიყო.


## ჰიგიენა

სკოლას გააჩნია გამართული ხელსაბანები, სადაც საპონი ყოველთვის არის ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისათვის და სკოლაში ისწავლება ჰიგიენა.

### ხელსაბანების რაოდენობა და მდგომარეობა

ყოველ მეათე საჯარო სკოლაში, კვლევის მონაცემებით, ხელის დაბანის საშუალება არ არის. ქვეყნის მასშტაბით ამ ზოგად სურათს განაპირობებს ამ კუთხით მძიმე მდგომარეობა სოფლის სკოლებში, რადგან სოფლის სკოლების წილი საქართველოს საჯარო სკოლების საერთო რაოდენობაში მაღალია. ასეთი სკოლები საქართველოს ყველა რეგიონში გამოვლინდა (გურიისა და იმერეთის გარდა). ხელსაბანის არმქონე სკოლების წილი განსაკუთრებით მაღალია ქვემო ქართლში (29%) და სამცხე-ჯავახეთში (27%). ამ რეგიონების არაქართულენოვან სკოლებში მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია და შესაბამისად 37%-ს და 44%-ს შეადგენს.

სქემა 12 ხელსაბანი საშუალებები სკოლებში (დაკვირვების შედეგები)



აღსანიშნავია, რომ ხელსაბანები სკოლის შენობის შიგნით განთავსებულია სკოლების მხოლოდ 41%-ში, მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება სკოლის მდებარეობის მიხედვით და რეგიონალურ ჭრილში. იგი განსაკუთრებით დაბალია სამცხე-ჯავახეთში (19%).

საინტერესოა, რომ შენობის შიგნით ონკანის არსებობა არ არის დაკავშირებული იმასთან, აქვს თუ არა სკოლას მილსადენით წყალმომარაგება. ონკანი სკოლის შენობის შიგნით წყალმომარაგების მილსადენი სისტემის მქონე სკოლების მხოლოდ 46%-შია განლაგებული.

ტუალეტის ჯიხურში ან მის ახლოს ხელსაბანი აქვს სკოლების დაახლოებით 70%-ს, წყალმომარაგების მილსადენი სისტემის არსებობის ფაქტი არც ამ მაჩვენებელზე ახდენს გავლენას, თუმცა განსხვავდება სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით და რეგიონალურ ჭრილში. მაჩვენებელი დაბალია სოფლად (64%) და სამცხე-ჯავახეთის რეგიონში (47%).


მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სკოლების უმეტესობაში (88%) ხელსაბანებთან არ არის საპონი. მდგომარეობა ამ მხრივ კიდევ უფრო მძიმეა დედაქალაქში, სადაც საპონი ხელსაბანებთან არ აქვს სკოლების 96%-ს. რეგიონალურ ჭრილში კი ყველაზე ცუდი მდგომარეობა ისევ სამცხე-ჯავახეთშია (98%). ასევე, სკოლების უმეტესობაში

ხელსაბანებთან არ არის პირსახოცი. ქვეყნის მასშტაბით პირსახოცი ხელსაბანებთან დამკვირვებლებმა დააფიქსირეს საჯარო სკოლების მხოლოდ 5%-ში (დეტალური მონაცემები მოცემულია დანართში 4).

### ხელსაბანების ხელმისაწვდომობა

ხელსაბანების დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის და შშმ პირებისათვის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, დაკვირვების თანახმად, მდგომარეობა უარესია სოფლებში. ზოგადად, ხელსაბანები ხელმისაწვდომია შშმ მოსწავლეებისათვის საჯარო სკოლების დაახლოებით ნახევარში, ხოლო დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის - 80%-ში.

სქემა 13 ხელსაბანების ხელმისაწვდომობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის (სკოლების საერთო რაოდენობის %/დაკვირვების მონაცემები)



### პირადი ჰიგიენა და ჰიგიენის სწავლება სკოლაში

დაკვირვების თანახმად, საპირფარეოში შესვლის შემდეგ მოსწავლეების ნახევარი ხელს არ იბანს, ამ კუთხით მნიშვნელოვანი განხვავება არ არის გენდერულ ჭრილში, ისევე როგორც ქალაქად და სოფლად.

ფოკუსური დისკუსიებიც ადასტურებს, რომ ხელის დაბანისთვის სკოლებში არასახარბიელო პირობებია, გარდა იმისა, რომ არც ერთ გამოკითხულ სკოლაში არ არის საპონი და ხელის გასამშრალელები, სკოლებში, ხშირად, ნაწილობრივ ან საერთოდ არ ფუნქციონირებს საპირფარეოს ონკანი. თუმცა, ამ მხრივ მდგომარეობა უკეთესია ფოკუსური ჯგუფის მონაწილე თბილისის საჯარო სკოლებში. რეგიონების სკოლებში, საპირფარეოთი სარგებლობის შემდეგ ხელის დაბანის ალტერნატიული საშუალებაა საპირფარეოს მოშორებით, ეზოში განთავსებული წყლის ონკანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). თუმცა, მაგალითად, დუშეთის საჯარო სკოლებში არც შენობის შიგნით და არც ეზოში არ არის ხელის დასაბანი საშუალება. მაგ. მეორე საჯარო სკოლის მასწავლებლების განცხადებით, ხელის დაბანის ერთადერთი საშუალება ბუფეტის ონკანია, თუმცა, ბუფეტის ხელსაბანი ნიჟარა

სასმელი წყლის ერთადერთ წერტილად მოიხსენიება და როგორც დაკვირვებისას აღმოჩნდა, ამავდროულად ჭურჭლის გასარეცხი ერთადერთი ადგილია, რაც, ამ ყველაფრის გათვალისწინებით არაჰიგიენურ გარემოს ქმნის.

თბილისის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა დისკუსიის დროს წამოაყენეს სპორტის გაკვეთილებთან დაკავშირებული პრობლემაც.

*”მოსწავლე გამოცვლასაც ძლივს ასწრებს და გაოფლიანებული შემოდის გაკვეთილებზე დასასწრებად. საჭიროა საშხაპე, პირსახოცი, საპონი და ამ ყველაფრისთვის დრო, არცერთი ამ კომპონენტთაგანი სკოლაში არ არის. შექმნილი მდგომარეობა დისკომპორტს უქმნის არამარტო მოსწავლეს, არამედ მასწავლებლებსაც.გამოსავალი სპორტის გაკვეთილების ჩატარება გაკვეთილების დასრულების შემდეგ, თუმცა ასეთი განრიგი ტექნიკურად შეუძლებელია.”*

რესპონდენტების აზრით, სიტუაცია, რომელშიც არ არსებობს ჰიგიენის დაცვის ელემენტარული პირობები, ბუნებრივია, მოსწავლეების ქცევაზეც ახდენს გავლენას და მათ ჰიგიენური პირობების არარსებობა დაავადებათა განვითარების მაღალი რისკის ქვეშ აყენებს. სკოლაში სანიტარიული პირობების გაუმჯობესების პარალელურად, რესპონდენტების აზრით ძალიან მნიშვნელოვანია ჰიგიენის წესების საფუძვლიანი სწავლება სკოლაში.

სკოლების დირექტორების 90%-ზე მეტი აღნიშნავს, რომ მოსწავლეები სწავლობენ ხელების დაბანის, პირის ღრუს ჰიგიენასთან, სხეულის და თმების მოვლასთან დაკავშირებულ საკითხებს, თუმცა დირექტორების მხოლოდ 10%-მა დარწმუნებით აღნიშნა, რომ მის სკოლაში არსებობს სულ მცირე 1 მასწავლებელი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება ჰიგიენის სწავლების საკითხებში. სკოლების 86%-ს არ აქვს დამხმარე სახელმძღვანელო ჰიგიენის სწავლების საკითხებში. გამოკითხული დირექტორების აბსოლუტური უმრავლესობა საჭიროდ მიიჩნევს სკოლაში ამგვარი სახელმძღვანელოს არსებობას.

მასწავლებლების ფოკუსურ ჯგუფზე აღინიშნა, რომ ჰიგიენის შესახებ საკითხები შედის საბუნებისმეტყველო საგნებში. მეცადინეობები ტარდება სხვადასხვა ფორმით, გარდა იმისა, რომ საბუნებისმეტყველო სახელმძღვანელო შეიცავს ჰიგიენის თემებს, დამრიგებლის პროგრამით გათვალისწინებულია მოსწავლეებისთვის ჰიგიენაზე საუბრები ე.წ. ”საკლასო საუბრებში”, ასევე, ჰიგიენის ნორმებზე საკითხებს შეიცავს სამოქალაქო თავდაცვა. თუმცა, როგორც რესპოდენტები ამბობენ, გარდა ზემოთ დასახელებულ სახელმძღვანელოებში ”ჰიგიენის შესახებ” ცალკეული საკითხებისა, მართლაც არ არსებობს სპეციალური სახელმძღვანელო, რომლითაც მოსწავლეები და მასწავლებლები იხელმძღვანელებდნენ ჰიგიენის სწავლებისას.

რესპოდენტების განცხადებით, გარდა თეორიული ცოდნისა, ჰიგიენის სწავლებისას ხშირად იყენებენ ვიზუალურ მასალებს, რომელსაც, გარკვეულ შემთხვევებში მოსწავლეები თავად ამზადებენ:

*“მასწავლებელი პლაკატებს გვაკეთებინებს სახლში, ვხატავთ თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჭამის შემდეგ, რომ არ უნდა დავაბინძუროთ გარემო. ”*

თბილისის საჯარო სკოლებში საუბრობენ ჰიგიენის შესახებ პროექტების დადებით გამოცდილებაზე, ასევე, აქვთ შეთავაზებები ჰიგიენის შესახებ მოსწავლეებში ინფორმირებულობის გაზრდის კუთხით:

*”თუმცა ეს საკითხები პარაგრაფების სახით არის მოცემული სახელმძღვანელოში, მაგრამ კარგია, როდესაც ეს თემა იშლება პროექტის სახით. ამ დროს ბავშვს თავად უყალიბდება ინტერესი და აზრს იქმნის ჰიგიენის საჭიროებაზე. ამ თემაზე არაერთი პროექტი განხორციელებულა სკოლაში და ვინც გაიარა ეს პროექტი, ჰიგიენის უნარ-ჩვევები ნამდვილად აქვს”.*

*“კარგი იქნება თუ ჰიგიენის წესებზე თვალსაჩინოებები იქნება ყველა კლასში. მოსწავლის თვალი შეეჩვევა ამ წესებს და გარკვეული დროის განმავლობაში ჩამოუყალიბდება უნარ-ჩვევად. მგონია, რომ ასეთი თვალსაჩინოება სლოგანების სახით კარგად ჯდება თვალსა და გონებაში და ძალიან კარგად მუშაობს.”*

*“განსაკუთრებით ეფექტურია ჰიგიენის სწავლება დაბალ კლასებში. ჩვევა შემდგომ წამოვა ზემოთ და დროთა განმავლობაში ჩვენ უფრო მოწესრიგებულ ახალგაზრდას მივიღებთ, რომელიც ჰიგიენის წესებსაც იცავს”.*

თუმცა, რესპოდენტები აქვე აღნიშნავენ, რომ *”ელემენტარული პირობები არ არის ჰიგიენის დაცვისათვის სკოლაში, შესაბამისი პირობა რომ იყოს, ჰიგიენის წესების დაცვის ჩვევაც ჩამოყალიბდებოდა”.*

*”ბავშვები უნდა შეეჩვიონ კარგ, ლამაზ, ესთეტიურ გარემოში სწავლას და ცხოვრებას. სუფთა, ლამაზ მოწესრიგებულ შენობაში მას ჩვევად უჯდება ჰიგიენის წესების დაცვა, სკოლის მოვლა-პარტონობა. ვფიქრობ, რომ მოსწავლეთა რამდენიმე თაობა უნდა გავიდეს იმისათვის, რომ მოსწავლეებში ასეთი ჩვევა მივიღოთ”.*

## ოპერირება და ტექნიკური გამართულობა

ინდიკატორი: სკოლას გააჩნია წყლისა და სანიტარიის ობიექტების მართვის ქმედუნარიანი სისტემა

### ტუალეტის ჯიხურების ფუნქციონირება და ზოგადი მდგომარეობა

ტუალეტის ჯიხურების ფუნქციონირების, ისევე როგორც სისუფთავის მაჩვენებლები უფრო მაღალია ქალაქად, ვიდრე სოფლად. საინტერესოა, რომ თუკი სან-კვანძების გამართულობის თვალსაზრისით თბილისში ყველაზე უკეთესი მდგომარეობაა, ჯიხურების სისუფთავის კუთხით მდგომარეობა თბილისში სხვა ურბანული დასახლებების მსგავსია - დაკვირვების შედეგებით სუფთად ჩაითვალა დათვალიერებული ჯიხურების მხოლოდ ნახევარი.


ცხრილი 5 ტუალეტის ჯიხურების მდგომარეობა სკოლის მდებარეობის მიხედვით (%/დაკვირვების შედეგები)

ტუალეტის ჯიხურების მდგომარეობა	ქალაქი	სოფელი	თბილისი
ფუნქციონირებს	88%	77%	94%
ნაწილობრივ	3%	7%	3%
არ ფუნქციონირებს	4%	4%	3%
ვერ დადგინდა	4%	12%	
სუფთა	60%	45%	61%
ნაწილობრივ სუფთა	26%	28%	28%
ბინძური	10%	17%	8%
ვერ დადგინდა	4%	10%	2%

ტუალეტების მდგომარეობის თვალსაზრისით განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა ისევ სამცხე-ჯავახეთშია, სადაც მწყობრიდან გამოსულია ჯიხურების თითქმის ნახევარი, ხოლო დამკვირვებლების მიერ სუფთად ჩაითვალა ჯიხურების მხოლოდ 15% (დეტალური მონაცემები რეგიონების მიხედვით მოცემულია დანართში 5). ამ რეგიონში, ისევე როგორც ქვემო ქართლში ტუალეტის ჯიხურების მდგომარეობის თვალსაზრისით გაცილებით უარესი მდგომარეობაა არაქართულენოვან სკოლებში. მაგალითად სამცხე-ჯავახეთის არაქართულენოვან სკოლებში სუფთად ჩაითვალა ჯიხურების მხოლოდ 3%, ხოლო ქვემო ქართლის არაქართულენოვან სკოლებში - 7%.

ტუალეტის ჯიხურების სისუფთავის ანალიზი წყალმომარაგების მილსადენი სისტემის მქონე სკოლებში აჩვენებს, რომ ზოგადად, სისუფთავის მაჩვენებლები ასეთ სკოლებში უფრო მაღალია, თუმცა დამაკმაყოფილებელი მაინც არ არის, რაც სკოლაში ჰიგიენის წესების სათანადოდ დაცვის დეფიციტსა და მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მიუთითებს.

სქემა 14 სან-კვანძების სისუფთავე და მდგომარეობა სკოლაში წყალმომარაგების ძირითადი წყაროს მიხედვით (ჯიხურების % - დაკვირვების შედეგები)



დირექტორების ინფორმაციით, სკოლებში ტუალეტების მოსაწესრიგებლად ძირითადად წყალი, სადეზინფექციო და სარეცხი საშუალებები გამოიყენება. ცხელ წყალს ტუალეტების გასარეცხად სკოლების მხოლოდ 3% იყენებს, სადეზინფექციო საშუალებებს კი - 70%. ტუალეტები, სკოლების დირექტორების უმეტესობის მტკიცებით, დღეში ერთხელ ან უფრო ხშირად სუფთავდება.

დაკვირვების მონაცემებით, საქართველოს საჯარო სკოლების 70%-ში ტუალეტის ჯიხურებში დაკვირვების მომენტისათვის არსად იყო ტუალეტის ქაღალდი. შედარებით უკეთესი მდგომარეობა დაფიქსირდა ურბანულ დასახლებებში (64%), ვიდრე სოფლებსა (74%) და თბილისში (74%). რეგიონულ ჭრილში საერთო ტენდენციიდან განსხვავებული მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთშია, სადაც სკოლების 93%-ში ტუალეტის ქაღალდი არცერთ ჯიხურში არ იყო.

საპირფარეშოებში განათების არსებობის თვალსაზრისით მდგომარეობა მკვეთრად განსხვავებულია ქალაქად და სოფლად. თბილისში განათება დამონტაჟებული იყო გამოკვლეული სკოლების 92%-ში, სხვა ქალაქებში - 62%-ში, ხოლო სოფლებში - მხოლოდ 20%-ში.

ფოკუსური დისკუსიების მონაწილე მოსწავლეები და მასწავლებლები თბილისის სკოლებში უფრო ტუალეტის ჯიხურებში წყლის ჩასარეცხი სისტემების გაუმართაობაზე ამახვილებენ.

*”დამლაგებელს უწევს ყოველ შესვენებებზე საპირფარეშოს მილაგება, ეს იმის გამო, რომ ჩასარეცხი სისტემა არ არის მოწესრიგებული”.*

ასევე, რიგ შემთხვევებში ტუალეტის ჯიხურებს არ აქვთ კარები, რაც მოსწავლეებს დისკომფორტს უქმნის. დისკუსიაში ჩართული თბილისის სკოლების ტუალეტების უმეტესობაში გამართულად არ მუშაობს ან საერთოდ არ არის ვენტილაციის სისტემა. საინტერესოა, რომ ტუალეტში ქაღალდის არარსებობას მასწავლებლები ჰიგიენის თვალსაზრისით გამართლებულად მიიჩნევენ.

ყველა ზემოთდასახელებული პრობლემა აქტუალურია ფოკუსური ჯგუფის მონაწილე რეგიონის საჯარო სკოლებშიც. თუმცა, როგორც აღინიშნა, რეგიონის სკოლები ინფრასტრუქტურული მოწყობა განსხვავებულია (მაგ. საჯარო სკოლებში საპირფარეშოები ძირითადად არის სკოლის შენობის გარეთ, ეზოში), რაც დამატებითი პრობლემების იდენტიფიცირების საფუძველს იძლევა.

დუშეთის რაიონში დათვალიერებულ საჯარო სკოლებში საპირფარეშოში ჩამრეცხები არ მუშაობს. საპირფარეშოები არ ნიავდება და მუდმივად დგას მძაფრი სუნი, რომელიც აუტანელს ხდის დერეფანში დგომას და, ბუნებრივია, სუნი აღწევს ამ დერეფანში განლაგებულ დაბალი კლასების კაბინეტებსა და ბუფეტში. ამ სკოლებში ტუალეტები შეკეთდა სამი წლის წინ კაპიტალური რემონტის დროს, თუმცა, ვენტილაციის არ არსებობისა და ჩასარეცხი სისტემის მოუგვარებლობის პირობებში, საპირფარეშოში სისუფთავის შენარჩუნება ვერ ხერხდება.

*”შიდა საპირფარეშოს პრობლემა არის ის, რომ არ მუშაობს ჩამრეცხები, სასურველია ისე იყოს მოწყობილი, რომ არ იყოს ”შლანგის” გამოყენება საჭირო, რომ ირეცხებოდეს გამდინარე წყლით”.*

*”არის ”ფორტოჩკა” და საპირფარეშო ნიავდება, მაგრამ სუნი დგას. სუნი შედის საკლასო ოთახებში, რომელიც ახლოს არის საპირფარეშოსთან. ასევე საპირფარეშო ახლოს არის ბუფეტთან და რა სასიამოვნოა, როდესაც ბუფეტში საპირფარეშოს სუნი შედის”.*

თელავის ერთ-ერთი საჯარო სკოლის მოსწავლეები საპირფარეშოს ახასიათებენ, როგორც *“დაბინძურებულს, უხამსი წარწერებით და ფიცრის კარებით, სადაც ყველაფერი ჩანს.”* ამავე რაიონის კიდევ ერთ სკოლაში ზემოთ ჩამოთვლილ პრობლემებს ემატება გაუმართავი ონკანი, რომლიდანაც მომდინარე წყალი დაბლა გადმოდის და საპირფარეშოში გუბე დგება.

მოსწავლეების დაკვირვებით, თელავის ერთ-ერთ სკოლაში დამლაგებელი ბიჭების განყოფილებაში უფრო იშვიათად შემოდის დასასუფთავებლად ვიდრე გოგონების განყოფილებაში, რადგან, მათი აზრით: *„ქალ დამლაგებლებს მამაკაცის საპირფარეშოში შესვლა არ უნდათ“.*

ქვემო ქართლის რაიონის ერთ-ერთ სკოლაში მოსწავლეები ჩივიან, რომ საპირფარეშოები არ ლაგდება: *“საპირფარეშოს დამლაგებელი არასდროს ეკარება. 8 წელია ამ სკოლაში ვსწავლობ და ზუსტად ისეთივეა როგორც 8 წლის წინ იყო. არაფერი არ შეცვლილა, არც არასდროს არავის დაულაგებია”*

## ხელსაზნების მდგომარეობა და სისუფთავე

ხელსაზნების მდგომარეობის თვალსაზრისით სურათი ისე მკვეთრად არ განსხვავდება ქალაქსა და სოფელს შორის, როგორც ტუალეტების შემთხვევაში. თუკი ტუალეტები უკეთეს მდგომარეობაში იყო ქალაქად, ხელსაზნების ფუნქციონირებისა და სისუფთავის თვალსაზრისით სოფელში უკეთესი მდგომარეობაა. თბილისში სუფთად ჩაითვალა დათვალიერებული ხელსაზნების მხოლოდ ნახევარი, ხოლო სოფლად, დაახლოებით 70%.

**ცხრილი 6** ხელსაზნების მდგომარეობა სკოლის მდებარეობის მიხედვით (დაკვირვების შედეგები)


ხელსაზნების მდგომარეობა	ქალაქი	სოფელი	თბილისი
ფუნქციონირებს	77%	82%	82%
ნაწილობრივ	10%	4%	2%
არ ფუნქციონირებს	13%	14%	14%
ვერ დადგინდა			2%
სუფთა	66%	69%	52%

ნაწილობრივ სუფთა	26%	22%	36%
ბინძური	6%	5%	7%
ვერ დადგინდა	3%	3%	4%

რეგიონულ ჭრილში კიდევ უფრო უარესი მდგონარეობა სამცხე-ჯავახეთშია, სადაც სუფთად ხელსაბანების მხოლოდ 42% ჩაითვალა, ხოლო მწყობრიდან ხელსაბანების დაახლოებით 30%-ია გამოსული (დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში 5).

წყალმომარაგების მილსადენი სისტემის მქონე სკოლებში ამ მხრივ ოდნავ უკეთესი სიტუაცია გამოვლინდა, თუმცა განსხვავება იმდენად უმნიშვნელოა, რომ ამ შემთხვევაშიც (ისევე როგორც სან-კვანძების მდგომარეობის ანალიზისას) სისუფთავის მოთხოვნების უზრუნველყოფის ძირითად შემაფერხებელ ფაქტორად ისევ სკოლაში ჰიგიენის წესების დარღვევა და მოვლა-პატრონობის პრობლემები შეიძლება ჩაითვალოს.

სქემა 15 ხელსაბანების სისუფთავე და მდგომარეობა სკოლაში წყალმომარაგების ძირითადი წყაროს მიხედვით (ჯიხურების % - დაკვირვების შედეგები)



# ნარჩენები

ინდიკატორი: სკოლაში რეგულარულად ხორციელდება მყარი ნარჩენებისა და ჩამდინარე წყლების გატანა.

## მყარი ნარჩენების გატანა

დაკვირვების შედეგებით, მყარი ნარჩენების გატანის თვალსაზრისით, უკეთესი მდგომარეობაა ქალაქად, ვიდრე სოფლად. სოფლის სკოლების მიმდებარე ტერიტორიაზე განთავსებული ურნები გადავსებულია ყოველ მეოთხე სკოლაში, მაშინ როდესაც ქალაქში იგივე მაჩვენებელი 3-4%-ს შეადგენს.

სოფელში და ქალაქად, ასევე, მნიშვნელოვნად განსხვავდება სკოლის ნარჩენებისაგან გათავისუფლების ხერხიც. თბილისში ნაგავი ძირითადად გააქვს დასუფთავების სამსახურს, მაშინ როდესაც სოფლებში ნაგავი ძირითადად იწვება სკოლის ტერიტორიაზე (45%) ან იგი გააქვთ სკოლის თანამშრომლებს (28%). რეგიონალურ ჭრილში ყველაზე ცუდი მდგომარეობა ამ მხრივ სამეგრელო-ზემო სვანეთშია, სადაც ნაგავი სკოლების დაახლოებით 80%-ში იწვება სკოლის ეზოს ტერიტორიაზე. (დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში 6)

ცხრილი 7 მყარი ნარჩენების დაცლის გზები სკოლის მდებარეობისა და რეგიონის ჭრილში (სკოლების %-დაკვირვების შედეგები)

	იყრება ნაგავსაყრელზე	ხდება ჩამარხვა სკოლის ტერიტორიაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე	ხდება დაწვა სკოლის ტერიტორიაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე	გროვდება და გააქვს დასუფთავების სამსახურს	გროვდება და გააქვთ სკოლის თანამშრომლებს	არ გააქვთ
ქალაქი	3.0%	0.0%	12.0%	63.0%	25.0%	2.0%
სოფელი	12.0%	3.8%	45.4%	13.4%	27.6%	1.6%
თბილისი	0.0%	0.0%	0.0%	86.2%	17.6%	0.0%
იმერეთი	7.5%	6.5%	59.8%	18.7%	34.6%	0.0%
კახეთი	1.9%	1.9%	45.3%	45.3%	11.3%	0.0%
ქვემო ქართლი	8.2%	4.1%	19.2%	28.8%	41.1%	0.0%
შიდა ქართლი	4.3%	2.1%	36.2%	38.3%	17.0%	2.1%
სამცხე-ჯავახეთი	22.0%	1.7%	8.5%	10.2%	42.4%	10.2%
გურია	14.3%	0.0%	35.7%	10.7%	42.9%	0.0%
აჭარა	19.7%	4.5%	18.2%	25.8%	7.6%	0.0%
მცხეთა-მთიანეთი	20.0%	0.0%	28.0%	4.0%	56.0%	0.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1.4%	1.4%	77.8%	16.7%	1.4%	1.4%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთი	21.1%	0.0%	36.8%	5.3%	57.9%	5.3%

სკოლებში მყარი ნარჩენების გატანის კუთხით მდგომარეობა მკვეთრად განსხვავებულია სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით. თბილისში ნაგავი ყოველდღიურად გააქვთ სკოლების 80%-ს, მაშინ როდესაც სოფლად ეს მაჩვენებელი ორჯერ დაბალია. რეგიონალურ

ჭრილში სიტუაცია უარესია იმერეთში (27%), სამცხე-ჯავახეთსა (31%) და სამეგრელო-ზემო სვანეთში (30%).

**ცხრილი 8 მყარი ნარჩენებისაგან სკოლის დაცლის სიხშირე სკოლის მდებარეობისა და რეგიონულ ჭრილში (სკოლების % - დირექტორების გამოკითხვის შედეგები)**


	სულ მცირე დღეში ერთხელ	ორ დღეში ერთხელ	კვირაში ერთხელ	უფრო იშვიათად	არ გააქვთ	არ უპასუხა
ქალაქი	53.1%	10.2%	21.4%	12.2%	0.0%	3.1%
სოფელი	37.5%	12.4%	23.9%	11.1%	6.0%	9.1%
თბილისი	80.4%	13.7%	3.9%	0.0%	0.0%	2.0%
სულ	43.7%	12.2%	21.8%	10.3%	4.5%	7.5%
იმერეთი	27.1%	7.5%	17.8%	9.3%	18.7%	19.6%
კახეთი	37.7%	15.1%	32.1%	9.4%	3.8%	1.9%
ქვემო ქართლი	49.3%	13.7%	28.8%	2.7%	0.0%	5.5%
შიდა ქართლი	83.0%	6.4%	6.4%	4.3%	0.0%	0.0%
სამცხე-ჯავახეთი	30.5%	23.7%	28.8%	11.9%	0.0%	5.1%
გურია	46.4%	7.1%	28.6%	14.3%	0.0%	3.6%
აჭარა	37.9%	19.7%	24.2%	15.2%	0.0%	3.0%
მცხეთა-მთიანეთი	44.0%	16.0%	8.0%	16.0%	0.0%	16.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	29.2%	4.2%	30.6%	25.0%	6.9%	4.2%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთი	47.4%	5.3%	21.1%	0.0%	0.0%	26.3%

### ჩამდინარე წყლები

რაც შეეხება საკანალიზაციო სისტემას, დაკვირვების მონაცემებით სიტუაცია აქაც მნიშვნელოვნად განსხვავდება სკოლის ადგილმდებარეობის მიხედვით. სოფლად საკანალიზაციო სისტემა (მათ შორის არასრულყოფილი და ნაწილობრივი) აქვს სკოლების მხოლოდ 40%-ს, ქალაქში ეს მაჩვენებელი ორჯერ მაღალია, ხოლო თბილისში საკანალიზაციო სისტემა ყველა სკოლაში ფუნქციონირებს.

სოფლის სკოლების დირექტორების ნახევარი მიიჩნევს, რომ ნახმარი წყლისა და ფეკალური მასების გადინება სკოლიდან უსაფრთხოდ არ ხდება.

**სქემა 16 ხორციელდება თუ არა ფეკალური მასის გატანა/გადინება უსაფრთხოდ? ( გამოკითხული დირექტორების %)**



იმ სკოლების უმეტესობაში, სადაც საკანალიზაციო სისტემა არ მოქმედებს, არ არსებობს ფეკალური მასის დაცლის ან გატანის გამართული გრაფიკი. დირექტორების ინფორმაციით, ნახმარი წყალი უსაფრთხოდ გაედინება საკანალიზაციო სისტემაში მხოლოდ სკოლების 13%-ში, უმეტესად ნახმარი წყალი სკოლის ეზოს ტერიტორიაზე (40%) ან სპეციალურ არხში იღვრება (22%).

ნარჩენების გატანის თვალსაზრისით რეგიონალურ ჭრილში ყველაზე მძიმე მდგომარეობა ისევ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში დაფიქსირდა. *(დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში 6 და 9)*

ეზოები დამკვირვებლებმა სუფთად მიიჩნიეს სკოლების 40%-ში, ამ კომპონენტშიც ჩანს განსხვავებები ქალაქისა და სოფლის, ისევე როგორც რეგიონალურ ჭრილში. ეზოები შედარებით სუფთად გამოიყურება ურბანულ დასახლებებში. რეგიონებში ყველაზე ცუდი მდგომარეობა შიდა და ქვემო ქართლში გამოვლინდა. *(დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში 7)*

ქვემო ქართლის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეებმა მყარი ნარჩენების პრობლემას ფოკუსური დისკუსიის დასაწყისშივე გაუსვეს ხაზი. მკვლევარის სკოლაში ვიზიტისას, თვალში მოსახვედრი იყო სკოლის ეზოში და სკოლის შენობაში გაბნეული მყარი ნარჩენები. როგორც მოსწავლეებმა აღნიშნეს, სკოლაში ნარჩენების პრობლემას იწვევს ის, რომ სკოლის შენობაში მხოლოდ ერთი სანაგვე ყუთია, რაც ორსართულიანი სკოლის შენობისთვის არასაკმარისია, ასევე, არ არის სანაგვე ბუნკერი ეზოში, ხოლო მუნიციპალური სანაგვე ბუნკერი სკოლიდან მოშორებითაა სკოლის მოსწავლეების სარგებლობისათვის. მოსწავლეებს როგორც წესი, თავად უხდებათ ეზოს დასუფთავება, ე.წ. "შაბათობის დღეებში", თუმცა სანაგვე ურნების არ არსებობის პირობებში, სკოლის ეზო მალე ნაგვიანდება.

---

## ზოგადი ინფორმაცია სკოლების შესახებ


---

კვლევაში ჩართული სკოლების უმეტესობა (დაახლოებით 90%) 2000 წლამდეა აშენებული, ახალი სკოლები 2000 წლის შემდეგ ძირითადად სოფლად აშენდა.

დირექტორების ინფორმაციით 2010 წლის შემდეგ სარემონტო სამუშაოები განხორციელდა სკოლების 60%-ში, ხოლო არც 2010 წლამდე და არც შემდეგ სარემონტო სამუშაოები არ განხორციელებულა სკოლების 12%-ში. რემონტის გარეშე დარჩენილი სკოლების უმეტესობა (დაახლოებით 70%) 2000 წლამდეა აშენებული და სოფლად მდებარეობს.


დირექტორების გამოკითხვის შედეგების თანახმად, სკოლებში განხორციელებული სარემონტო სამუშაოების ტიპების ჩამონათვალში ყველაზე დიდ წილს კარ-ფანჯრის გამოცვლა, საკლასო ოთახების რემონტი და გადახურვა ქმნის. სანიტარიული კვანძები, დირექტორების ინფორმაციით, შეკეთდა ან დამონტაჟდა გამოკვლეული სკოლების დაახლოებით 35%-ში. ამ ტიპის სამუშაოები ძირითადად ქალაქად ჩატარდა, მაშინ როდესაც სოფელში ყველაზე გავრცელებულ სამუშაოებს კარ-ფანჯრის ჩასმა და გადახურვა წარმოადგენს.

სქემა 17 სარემონტო სამუშაოების ტიპები სკოლებში (% პასუხების საერთო რაოდენობიდან/ გამოკითხვის შედეგები)



აღსანიშნავია, რომ დღეისათვის სკოლების გარემონტება არ მიმდინარეობს საერთო სტანდარტის მიხედვით, რაზეც ის ფაქტი მეტყველებს, რომ სარემონტო სამუშაოების შედეგად, გამოკითხული დირექტორების ინფორმაციით, ბევრ სკოლაში შეიცვალა სან-კვანძების პირველადი გეგმარება, ისევე როგორც სან-კვანძების პირველადი რაოდენობა. როგორც უკვე აღინიშნა, კვლევის მონაცემებით სან-კვანძების რაოდენობა დღეისათვის არ არის კორელაციაში სკოლაში მოსწავლეთა რაოდენობასთან, ისევე როგორც მოსწავლეთა განაწილებასთან გენდერულ ჭრილში. ამ კუთხით სიტუაციის ანალიზი სკოლებში დღეისათვის არ წარმოებს.

სქემა 18 სან-კვანძების გეგმარება სკოლებში 2013 წლის მდგომარეობით (სკოლების %/ დირექტორების გამოკითხვა)




სკოლებზე დაკვირვების კომპონენტის ფარგლებში, აგრეთვე, შემოწმდა საკლასო ოთახების (იატაკის, ჭერის, ფანჯრებისა და მერხების) სისუფთავე. ამ კრიტერიუმით სკოლებში მდგომარეობა მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია. ყველა კომპონენტში შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ქალაქად. რეგიონალურ ჭრილში სკოლების სისუფთავის თვალსაზრისით შედარებით ცუდი მდგომარეობა სამცხე-ჯავახეთში დაფიქსირდა. ზოგადად, სკოლებში უფრო უარეს მდგომარეობაშია ჭერი და იატაკი, ვიდრე მერხები და ფანჯრები. უნდა აღინიშნოს რომ სკოლების სისუფთავე წლის დასაწყისში (შემოდგომის პირველ ნახევარში) შეფასდა, როდესაც სკოლებს ჯერ არ ჰქონდათ ამოქმედებული გათბობის სისტემები. ფოკუსურ ჯგუფებში ჩატარებული დისკუსიების შედეგების თანახმად, სკოლებში შეშის ღუმელი აბინძურებს ჰაერს და მიმდებარე ტერიტორიას.

**ცხრილი 9** ფანჯრების, იატაკის, მერხებისა და ჭერის სისუფთავე (არ არის სუფთა- სკოლების %/ დაკვირვების შედეგები)

სკოლის მდებარეობა	ფანჯრები	იატაკი	მერხები	ჭერი
ქალაქი	1.5%	6.6%	1.6%	5.6%
სოფელი	5.7%	11.7%	5.6%	11.2%
თბილისი	7.0%	10.9%	2.8%	7.2%
იმერეთი	2.5%	11.0%	4.0%	12.1%
კახეთი	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
ქვემო ქართლი	4.7%	10.0%	1.5%	13.4%
შიდა ქართლი	7.8%	9.2%	.2%	4.2%
სამცხე-ჯავახეთი	13.8%	21.3%	19.5%	26.9%
გურია	2.8%	9.1%	4.5%	4.5%
აჭარა	4.2%	6.8%	5.1%	3.3%
მცხეთა-მთიანეთი	5.4%	10.9%	13.0%	13.0%
სამეგრელო-ზემო სვანეთი	6.0%	14.9%	2.3%	9.5%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთი	0.0%	14.6%	1.5%	14.1%

სოფლად სკოლების 80% ზამთარში შეშის ღუმელით თბება, რაც უარყოფითად მოქმედებს საკლასო ოთახების სისუფთავეზე.

**სქემა 19** გათბობის სისტემები სკოლაში (სკოლების %/გამოკითხვის შედეგები)




ფოკუსური ჯგუფის შედეგებით, შეშის ღუმელს იყენებენ ის სკოლებიც, რომლებსაც აქვს გათბობის ცენტრალური სისტემა. ცენტრალური გათბობა ხშირ შემთხვევაში გამორთულია, რადგან მძიმე ტვირთად აწევს სკოლის ბიუჯეტს:

*”ჩვენთან გათბობა გამორთულია ხოლმე, შეშის ღუმელი გვაქვს, არ არის გამომწვარი და კლასი სავსე არის კვამლით”.*

დაკვირვების ფარგლებში, აგრეთვე, შეფასდა სკოლების ეზოების მდგომარეობაც. სკოლების 97%-ს აქვს ეზო. მაჩვენებელი შედარებით დაბალია თბილისში, სადაც სკოლების 6%-ს ეზო არ აქვს. კვლევის მონაცემებით, სკოლების 40% შედგენილია ცხოველებისათვის, თბილისში ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია და 50%-ს შეადგენს. სოფლის სკოლების უმეტესობაში, აგრეთვე, პრობლემას წარმოადგენს სანაგვე ურნების არარსებობა სკოლის ეზოებში.

სქემა 20 ეზოების მდგომარეობა (სკოლების % /დაკვირვების შედეგები)




აღსანიშნავია, რომ რაიმე სახის ინსპექტირება, დირექტორების ინფორმაციით, 2010 წლის შემდეგ ჩატარდა შესწავლილი სკოლების მხოლოდ 23%-ში, საიდანაც ტექნიკური ინსპექტირება განხორციელდა სკოლების 17%-ში, წყლის - 11 %-ში, ხოლო საკვების 5%-ში. ინსპექტირების შემთხვევები უფრო ხშირია ქალაქად, ვიდრე სოფლად.

## კვების ობიექტი

კვების ობიექტები ფუნქციონირებს საჯარო სკოლების მხოლოდ 30%-ში, რომელთა უმეტესობა თბილისსა და სხვა ურბანულ დასახლებებშია. სოფლად სკოლების დაახლოებით 90%-ს ბუფეტი არ აქვს.

ურბანული დასახლებების სკოლების ბუფეტების დაახლოებით ნახევარში და სოფლის სკოლების ბუფეტების უმრავლესობაში მხოლოდ მზა პროდუქტი იყიდება.

სქემა 21 არის თუ არა სკოლაში ბუფეტი (დირექტორების %/ გამოკითხვის შედეგები)



დაკვირვების მომენტისათვის ბუფეტში გაყიდვადი პროდუქციის ანალიზი აჩვენებს, რომ ასორტიმენტი არ არის ჯანსაღი კვების ხელშემწყობი - სკოლების უმეტესობას მენიუმში არ აქვს შეტანილი ხილი, ბოსტნეული, რძის პროდუქტები და წვნიანი.

გაყიდვაში არსებული პროდუქციის არჩევანი მწირია. სკოლების დიდ ნაწილში იყიდება პროდუქტები ცხიმისა და მარილის მაღალი შემცველობით (მარილიანი თხილი, მარილიანი ორცხობილა და ჩიპსები), ტკბილი გაზიანი სასმელები, ნამცხვარი და ფუნთუშეული.


სქემა 22 სკოლის ბუფეტების ასორტიმენტი (ბუფეტის მქონე სკოლების %/ დაკვირვების შედეგები)

პროდუქცია	გაყიდვაშია
ტკბილი გაზიანი სასმელები	63%
პროდუქტები ცხიმისა და მარილის მაღალი შემცველობით (ჩიპსები, მარილიანი თხილი, მარილიანი ორცხობილა და ა.შ.)	66%
მატონიზირებელი უალკოჰოლო სასმელები	68%
საწუწნი და საღებავი კანფეტები	9%
ხილი	1%
ბოსტნეულის სალათები ერთჯერადი შეფუთვით	4%
რძის პროდუქტები (არაჟანი, ხაჭო, იოგურტი, ნაყინი)	7%
ნამცხვარი მშრალი	78%
ნამცხვარი კრემიანი	18%
ფუნთუშეული და ღვეზელი (ხილის, ბოსტნეულის, რძის პროდუქტების, შოკოლადის შიგთავსით)	85%
სუპები	6%
მეხვეული	19%
ლობიანი და ხაჭაპური	19%

დაკვირვების თანახმად, სამზარეულოების 65% სუფთადაა მიჩნეული, ხოლო 35 %- მეტ-ნაკლებად სუფთად.

მიუხედავად იმისა, რომ სამზარეულოების მდგომარეობა სისუფთავის კრიტერიუმის მიხედვით მეტ-ნაკლებად დამაკმაყოფილებელია, სკოლის ბუფეტები არ აკმაყოფილებენ სხვა მნიშვნელოვან ტექნიკურ პირობებს. მაგალითად, ბუფეტების დიდ ნაწილში არ არის ხელსაბანი, მზა და ნედლი პროდუქტები განცალკევებით ინახება მხოლოდ 52% ში, მაცივარი გააჩნია მხოლოდ 48%-ს, რაც საკვებისმიერი დაავადებების გავრცელების საფრთხეს ქმნის.

**სქემა 23 ტექნიკური პირობები სამზარეულოსა და ბუფეტში (ბუფეტის მქონე სკოლების %/დაკვირვების მონაცემები)**



სასმელი წყალი, დირექტორების მონაცემებით, არის ბუფეტის სკოლების 92%-ში, ხოლო ცხელი წყალი - ყოველ მეათე ბუფეტის სკოლაში.

**ცხრილი 10 ბუფეტების წყლით მომარაგება (სკოლების % - დირექტორების გამოკითხვა)**

	სასმელი წყალი	ცხელი წყალი
ქალაქი	92.5%	13.4%
სოფელი	84.9%	7.5%
თბილისი	100.0%	6.5%
სულ	92.2%	9.6%
იმერეთი	90.5%	4.8%
კახეთი	84.6%	
ქვემო ქართლი	87.5%	
შიდა ქართლი	94.1%	
სამცხე-ჯავახეთი	100.0%	20.0%
გურია	100.0%	
აჭარა	94.4%	44.4%
მცხეთა-მთიანეთი	100.0%	
სამეგრელო-ზემო სვანეთი	85.0%	15.0%
რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთი	33.3%	

დირექტორების 60%-ის ინფორმაციით, სკოლასთან ახლოს არის სწრაფი კვების ობიექტი. ქვემო ქართლის რეგიონის ერთ-ერთ სკოლაში მასწავლებლები და მოსწავლეები ბუფეტის არარსებობით გამოწვეულ პრობლემებზე საუბრობენ. მოსწავლეებს უწევთ სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაღაზიაში პროდუქტის ყიდვა. მაღაზიამდე გადასასვლელი სატრანსპორტო გზა კი სახიფათოა მოსწავლეების სიცოცხლისათვის.

*“აქ მოსწავლეები სხვადასხვა სოფლიდან დადიან და ბევრს შორი გზის გამოვლა უწევს. რომ მოშვიდება, სად ჭამოს? აქ ახლოს არის მაღაზია, მაგრამ ტრასაზეა, გზის მეორე მხარეს”.*

*“იცით რომ ავარია მოხდა? თან რამდენჯერმე, როდესაც მშვიერი ბავშვები გზაზე გადარბოდნენ მაღაზიისკენ.”*


*“ბავშვისთვის ხომ საჭიროა რომ ცხელი კერძი ჭამოს. იმ მაღაზიაში სასარგებლო არაფერი არ იყიდება, არც გვანაყრებს.”*

### სკოლის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობაზე განკუთვნილი რესურსები

სანიტარიაზე, წყალზე და ნარჩენების გატანაზე სკოლები საშუალოდ ბიუჯეტის 1-3%-ს ხარჯავენ, რაც სკოლის საზოგადოების წარმომადგენლების აზრით არ არის საკმარისი სკოლის ინფრასტრუქტურის სათანადოდ შენახვისათვის.

მაგალითად, ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას კადრების დეფიციტი წარმოადგენს, განსაკუთრებით სამეურნეო და სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით. კადრების დეფიციტის მქონე სკოლების წილი უფრო მაღალია სოფლად, ვიდრე ქალაქად.

სქემა 24 განიცდით თუ არა კადრების დეფიციტს (არა, სკოლების %/ გამოკითხვის შედეგები)



როგორც ფოკუსური დისკუსიების მონაწილე მასწავლებლები აცხადებენ, განათლების სამინისტრომ საჯარო სკოლებს განუსაზღვრა დამლაგებლის სამტატო განრიგი, რაც გარკვეულ შემთხვევებში დამლაგებლების შემცირებულ რაოდენობას გულისხმობს. თუმცა, სკოლას შეუძლია შტატგარეშე დამლაგებლის დაქირავება, მაგრამ, როგორც სკოლის მასწავლებლები აცხადებენ, მწირი შემოსავლების გამო ვერ ახერხებენ იმ კადრების დასაქმებას, რომლებიც, მათი აზრით, სკოლისთვის აუცილებელია.

უკლებლივ ყველა მასწავლებელი თანხმდება, რომ სკოლები განიცდის დამლაგებლისა და ტექნიკური პერსონალის ნაკლებობას. მოუწესრიგებელი/გაუმართავი ინფრასტრუქტურის პირობებში, სისუფთავის დაცვა სკოლებში გართულებულია და სისუფთავის მთელი ტვირთი დამლაგებლების მხრებზეა.

*“არც სველი წერტილებია მოწყობილი, არც მოსწავლეები ცდილობენ სისუფთავის დაცვას და არც საკმარისი დამლაგებელია იმისთვის, რომ ამდენ პრობლემას გაუმკლავდეს”*

გამოკითხული მოსწავლეები საუბრობენ დამლაგებლის შრომის შესახებ, რომელიც მუდმივად *“ცოცხით და ტილოთი დადის”* და იმის გაკეთებაც უწევს, რაც მარტივი ავტომატური ტექნიკური აღჭურვილობით უნდა კეთდებოდას. მაგ. საპირფარეოს ჩარეცხვა.

ყველა გამოკითხული მასწავლებელი თანხმდება, რომ დამლაგებლის სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე დამლაგებლის შრომა და ხელფასი არაადეკვატურია:

*“მხოლოდ ერთ დამლაგებელი გვყავს და თქვენ წარმოიდგინეთ, რომ თვეში 80 ლარად უწევს დალაგება”.*

დამლაგებლების პრობლემა კიდევ უფრო საგრძნობი ხდება დიდ კონტიგენტთან სკოლებში. *“თუ დამლაგებელმა იცის, რომ პატარა სკოლაში მან უნდა დააღაგოს კონკრეტული ფართობის ტერიტორია, ჩვენს სკოლაში, როგორც დიდ სკოლაში მას უწევს ორჯერ მეტი ფართობის ტერიტორიის დალაგება იგივე ანაზღაურებით. ეს მის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე მოქმედებს. ასე რომ ჩვენ ვერ ვიღებთ დამლაგებლისგან იმ ხარისხის სისუფთავეს, რაც საჭიროა და ვერც მოვთხოვთ ამ ანაზღაურების პირობებში, რომელიც მას აქვს. ის ძალ-ღონესაც არ იშურებს. უბრალოდ, ამდენ საქმეს ვერ აუღის.”*

ერთ-ერთი საჯარო სკოლის მასწავლებლის განცხადებით, დამლაგებელთა გაზრდილი რაოდენობა უფრო ეფექტურად შეძლებდა დასუფთავებისთვის თავის გართმევას ორ ცვლიან სკოლებში. იმ მცირე შუალედში, რომელიც სასწავლო პროცესის ორ ცვლას შორის არსებობს, დამლაგებელი ვერ ახერხებს კლასების მოწესრიგებას და მოსწავლეთა შემდეგ ნაკადს არც თუ ისე ხარისხიანად დალაგებული სასწავლო გარემო ხვდებათ. *“მართო ის კი არა რომ ქაღალდები აკრიფოს, არამედ, დაგავო, მტვერი აიღოს. უფრო მეტი დამლაგებელია საჭირო, მითუმეტეს, რომ კლასები მრავალრიცხოვანია”.*

გარდა ამისა, დიდ კონტიგენტთან სკოლის პრობლემებს შორის არის ეზოს დაგვის საკითხი, თუმცა, სკოლაში არ არსებობს კადრი, რომელიც ეზოს დაგვის ფუნქციებს შეასრულებს: *“გვაქვს დიდი ეზო, რომელიც საჭიროებს დაგვას– მოვლას, ამისათვის ჩვენ საკმარისი კადრი არ გვყავს. დღესაც ამ პრობლემაზე ვსაუბრობდით სკოლაში”.* ასევე, ეზოს დასუფთავების პრობლემამ თავი იჩინა შულავერის საჯარო სკოლი მოსწავლეებთან საუბრისას. შულავერის სკოლაში ვიზიტისას, ერთი შეხედვითაც ჩანდა, რომ სკოლის დიდი ეზო მოვლა–პარტონობის ნაკლებობას განიცდიდა. როგორც მოსწავლეებმა განაცხადეს, სკოლის ეზოს, როგორც წესი, პერიოდულად ასუფთავებენ მოსწავლეები, ე.წ. *“შაბათობის დღეებში”*, თუმცა სანაგვე ურნების არ არსებობის პირობებში, სკოლის ეზო მალე ნაგვიანდება.

გამოკითხული მასწავლებლები ტექნიკური პერსონალის ნაკლებობას უჩივიან არა მხოლოდ დასუფთავების მიმართულებით. განსაკუთრებით დიდ კონტიგენტთან სკოლებში

მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ერთი ტექნიკური პერსონალი ვერ უზრუნველყოფს "მომლილი ინფრასტრუქტურის" დროულად შეკეთებას. როგორც თბილისის ერთ-ერთი სკოლის დირექტორი ამბობს: "დამხმარე მუშა სჭირდება ტექნიკურ პერსონალს, ის არის სანტექნიკოსიც, დურგალიც, მუშაც". სკოლებში შედგენილია ე.წ. "მნეს გრაფიკი", რომელიც შესაკეთებელი ინვენტარის ჩამონათვალისაგან შედგება. მასწავლებლეთა თქმით, ერთი ტექნიკური პერსონალის პირობებში, მწყობრიდან გამოსული ინვენტარის შეკეთება გვიანდება. "უკვე ერთი თვეა კარის სახელურის შეკეთებას ვთხოვ, ბევრი საქმე აქვს და არ ვიცი, კიდევ რა დრო გავა, რომ ჩემამდე მოვიდეს".


სამტატო განრიგის შემცირების შემდეგ კიდევ უფრო დამძიმდა მდგომარეობა იმ სკოლებში სადაც სწავლობენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები. თბილისის ერთ-ერთი სკოლის მასწავლებლის განცხადებით, გადაუჭრელ პრობლემად რჩება შშმ მოსწავლისთვის დახმარების გაწევა გადაადგილებაში. სკოლა მონაწილეობდა პროექტში, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილი იყო დამხმარე პერსონალი შშმ მოსწავლეებისათვის, "თუმცა პროექტის დასრულების შემდეგ ბავშვები ბედის ანაბარა დარჩნენ და ახლა მშობლებს უწევთ სკოლაში მათი მოვლა, ან მშობლები უხდებიან ფულს დამლაგებლებს, რომ ბავშვებს დაეხმარონ გადაადგილებაში."

### სამედიცინო მომსახურება და მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა სკოლაში სამედიცინო პერსონალის ნაკლებობაა. სამედიცინო კაბინეტი ფუნქციონირებს სკოლების მხოლოდ 6%-ში, ამასთანავე სურათი მნიშვნელოვნად განსხვავდება სკოლის ლოკაციის მიხედვით. თბილისში მაჩვენებელი დაახლოებით 30%-ია, ქალაქად - 20%, ხოლო სოფლად -4 %-ს არ აღემატება. სამედიცინო კაბინეტი ექიმით აქვს სკოლების მხოლოდ 2%-ს, ხოლო როგორც ექიმი ისე მედდა არის გამოკვლეული სკოლებიდან მხოლოდ ერთში (დეტალური ინფორმაცია მოცემულია დანართში).

დირექტორების გამოკითხვის შედეგების თანახმად, სკოლების ნახევარზე მეტში ყოველწლიურად მოსწავლეთა ჯანმრთელობის მდგომარეობა არ მოწმდება.

სქემა 25 მოსწავლეების ჯანმრთელობა სკოლაში (დიახ %/ დირექტორების გამოკითხვა)



როგორც ფოკუსური დისკუსიების მონაწილე მასწავლებლები აღნიშნავენ, მას შემდეგ რაც სამინისტროდან გაუქმდა ექიმის შტატი, სკოლებში სამედიცინო კაბინეტი აღარ ფუნქციონირებს. ამასთან, დირექტორების გამოკითხვის მიხედვით, სკოლების

უმრავლესობას გააჩნია მედიკამენტების მარაგი. შესაძლებელია, სკოლებს ყავდეთ “ხელშეკრულებით ექიმი”, რომლებიც ხელფასს სკოლის ბიუჯეტიდან იღებენ. გამოკითხულ სკოლებს შორის გამონაკლისს წარმოადგებს თბილისის ერთ-ერთი სკოლა, სადაც ექიმი მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში ემსახურება სკოლას. აქ სამედიცინო კაბინეტის არსებობა შესაძლოა სკოლის დიდი ზომით იყოს განპირობებული.

გამოკითხულ მასწავლებელთა ნაწილი სამედიცინო კაბინეტის საჭიროებას ვერ ხედავს. მათი თქმით, რაიმე სახის ინციდენტის შემთხვევაში ოპერატიულად მოდის სასწრაფო, რომელიც ადგილზე გაუწევს დახმარებას ან მიყავს დაშავებული მკურნალობის ჩასატარებლად. თუმცა, კვლევის დროს აღმოჩნდა, რომ ექიმის არ არსებობა სკოლებში პრობლემას უქმნის მოსწავლეებს. მათ თქმით, შემთხვევა, რომელიც შესაძლოა დაუკავშირდეს მოსწავლის ჯანმრთელობას, გაურკვეველ მდგომარეობაში აყენებს, როგორც მოსწავლეებს, ასევე მასწავლებლებს.

*“მასწავლებელს უნდა მიმართო, რომ პრობლემა მოგივაროს, მაგ. გიშოვოს შესაბამისი წამალი”: “ფიზიკულტურაზე ბიჭები ხშირად დაშავდებიან ხოლმე, გამოდის, რომ ვინმემ რამე რომ დაიშავოს, ერთმანეთისთვის უნდა ვატაროთ წამლები?; “ექიმი უცილებელია, სკოლაში რომ სიცხე მოგცეს, ან რამე დაგემართოს, გაგსინჯავს, დაგიჩერს ცნობას”*

## სკოლის მიმდინარე საჭიროებები

გამოკითხვის დასასრულს სკოლების დირექტორებს შეეძლოთ აღენიშნათ ის პრობლემები, რომლებიც მათ სკოლაში მოგვარებას საჭიროებს. გამოკითხვის მონაცემებით, ტექნიკური პრობლემების მოგვარებასთან ერთად სკოლების უმეტესობაში აქტუალურია მოსწავლეებისათვის ჰიგიენის სწავლების საკითხების მოგვარება.

სქემა 26 სკოლაში მოსაგვარებელი პრობლემები (სკოლების %/ დირექტორების გამოკითხვის შედეგები)

მოსაგვარებელი პრობლემები სკოლაში	ქალაქი	სოფელი	თბილისი	სულ
ტუალეტების გარემონტება	53%	49%	33%	48%
ტუალეტების აშენება	23%	46%	4%	39%
წყლის მომარაგების სისტემის გარემონტება	32%	41%	10%	37%
წყლის მომარაგების სისტემის მშენებლობა	17%	43%		36%
ხელის დასაბანი ნიჟარების დამონტაჟება	49%	70%	22%	62%
ნაგვის შესაგროვებელი კონტეინერების შექმნა	52%	75%	14%	66%
სადრენაჟო სისტემის გარემონტება	44%	41%	25%	40%
პედაგოგების ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება	56%	64%	29%	60%
ბავშვების ჰიგიენის სწავლების გაუმჯობესება	71%	73%	55%	71%

ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, სკოლის საზოგადოების წარმომადგენლების (მასწავლებლების, მოსწავლეების, დირექტორების) აზრით ჰიგიენის ჩვევების განვითარების პარალელურად უნდა მოხდეს, რადგან ამ ეტაპისათვის მოსწავლეები სათანადოდ არ უფრთხილდებიან და აზიანებენ სკოლის ინფრასტრუქტურას, ისევე როგორც ხშირ შემთხვევაში არ უწყობენ ხელს სკოლაში სათანადო სანიტარიული პირობების შენარჩუნებას.

# დანართები

დანართი 1 წყალმომარაგების წყაროებისა და სან-კვანძების კლასიფიკაციის სქემა

წყლის გაუმჯობესებული წყაროები	წყლის არაგაუმჯობესებული წყაროები
წყალი მილსადენიდან სკოლის შენობაში	დაუცველი ჭა
წყალი მილსადენიდან სკოლის ეზოში	დაუცველი წყარო
წყალი მილსადენიდან (მეზობელთან)	ცისტერნა განთავსებული დიდ საზიდ მანქანაზე
წყალი მილსადენიდან (საზოგადო მოხმარების)	ბოთლის წყალი
ჭის წყალზე მიერთებული მილი	
დაცული ჭა	
დაცული წყარო	
შეგროვებული წვიმის წყალი	
გაუმჯობესებული სან-კვანძები	არაგაუმჯობესებული სან-კვანძები
ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	“თურქული/ჩეჩმა” ტუალეტი კეთილმოწყობილი დასადგომის გარეშე – ღია
ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია სექტიკურ რეზერვუარზე/ბაკზე	სათლი (ვედრო)
ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია “თურქულ/ჩეჩმა” ტუალეტზე	დაკიდებული ტუალეტი /დაკიდებული “თურქული/ჩეჩმა” ტუალეტი
ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია სადღაც სხვაგან	არ არის ტუალეტი, ბუჩქები/მინდორი
ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია უცნობ ადგილას/არ იცის/არაა დარწმუნებული	
“თურქული/ჩეჩმა” ტუალეტი კეთილმოწყობილი ვენტილაციით	
“თურქული/ჩეჩმა” ტუალეტი კეთილმოწყობილი დასადგომით (ცემენტის ან სხვა მყარი და დაცული იატაკით)	
კომპოსტიური ტუალეტი /ალტერნატივა ჩარეცხვადი ტუალეტისა	
ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია კანალიზაციის სისტემაზე	
ჩარეცხვადი ტუალეტი (უნიტაზით ან მის გარეშე), რომელიც მიერთებულია სექტიკურ რეზერვუარზე/ბაკზე	

დანართი 2 წელის ძირითადი წყაროები საქართველოს საჯარო სკოლებში

წელის ძირითადი წყარო (სკოლების %)	ქალაქი	სოფელი	თბილისი	სულ	იმერეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	გურია	აჭარა	მცხეთა-მთიანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთი
წყალი მილსადენიდან სკოლის შენობაში	61%	15%	100%	30%	24%	23%	16%	17%	22%	7%	39%	32%	26%	16%
წყალი მილსადენიდან სკოლის ეზოში	28%	45%	0%	38%	39%	66%	48%	34%	54%	36%	44%	44%	14%	47%
წყალი მილსადენიდან (მეზობელთან)	1%	2%	0%	2%	0%	0%	1%	2%	0%	0%	6%	0%	3%	5%
წყალი მილსადენიდან (საზოგადო მოხმარების)	1%	5%	0%	4%	3%	0%	8%	6%	0%	14%	2%	8%	1%	26%
ქის წყალზე მიერთებული მილი	4%	6%	0%	5%	7%	0%	3%	2%	0%	18%	0%	4%	18%	0%
დაცული ჭა	1%	9%	0%	7%	12%	0%	1%	32%	0%	14%	0%	0%	14%	0%
დაცული წყარო	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
შეგროვებული წვიმის წყალი	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%	0%
დაუცველი ჭა	1%	2%	0%	2%	2%	0%	1%	2%	0%	4%	0%	0%	8%	0%
დაუცველი წყარო	1%	3%	0%	3%	5%	2%	3%	0%	0%	7%	6%	0%	1%	5%
ბოთლის წყალი	1%	6%	0%	4%	7%	8%	8%	2%	0%	0%	0%	8%	8%	0%
დაუცველი ჭა	1%	2%	0%	2%	2%	0%	1%	2%	0%	4%	0%	0%	8%	0%
სკოლაში ან მის შემოგარენში წყალი არ არის	0%	6%	0%	4%	0%	0%	8%	2%	24%	0%	2%	4%	4%	0%

დანართი 3 წყალი

წყალი	ქალაქი	სოფელი	თბილისი	სულ	იმერეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	გურია	აჭარა	მცხეთა-მთიანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთი
<b>წყალმომარაგების ძირითადი წყაროები</b>														
გაუმჯობესებული ძირითადი წყარო (სკოლების %)	96%	82%	100%	86%	86%	89%	78%	94%	76%	89%	91%	88%	76%	95%
არაგაუმჯობესებული ძირითადი წყარო (სკოლების %)	4%	12%	0%	9%	14%	11%	14%	4%	0%	11%	8%	8%	18%	5%
სკოლაში ან მის შემოგარენში წყალი არ არის	0%	6%	0%	4%	0%	0%	8%	2%	24%	0%	2%	4%	4%	0%
წყლის ონკანი სკოლის შიგნით (სკოლების %)	86%	30%	84%	44%	44%	30%	32%	40%	19%	54%	53%	32%	56%	37%
წყალმომარაგების მილსადენი სისტემა (სკოლების %)	91%	67%	100%	74%	66%	89%	74%	60%	76%	57%	91%	84%	44%	95%
<b>წყალმომარაგების წყაროების მდგომარეობა</b>														
წყლის ძირითადი წყაროს ფუნქციონირების შემთხვევაში წყალი საკმარისია (სკოლების %)	96%	88%	96%	90%	93%	91%	84%	91%	71%	86%	98%	88%	96%	84%
წყლის ძირითადი წყარო ფუნქციონირებს (დაკვირვების მომენტისთვის - სკოლების %)	96%	83%	100%	87%	94%	94%	70%	79%	63%	93%	92%	88%	90%	95%
წყლის ალტერნატიული წყაროს არ გამოყენება (სკოლების %)	51%	73%	90%	71%	40%	77%	62%	87%	92%	50%	69%	88%	83%	63%
წყლის ძირითადი წყარო სუფთავდება ყოველთვის	11%	9%	0%	8%	7%	0%	1%	19%	5%	14%	3%	29%	20%	21%
წყლის ძირითადი წყარო სუფთავდება ზოგჯერ	7%	8%	0%	7%	3%	0%	3%	19%	2%	36%	5%	6%	17%	0%
წყალს შესანახ ჭურჭელში ნორმალური გემო აქვს	100%	98%	100%	98%	100%	100%	96%	100%	88%	100%	100%	100%	98%	100%
წყალს ონკანიდან ნორმალური გემო აქვს	94%	84%	98%	87%	86%	96%	78%	74%	63%	100%	94%	96%	92%	89%
<b>წყლის წყაროების ხელმისაწვდომობა</b>														
სასმელი წყლის ონკანი ხელმისაწვდომია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის	93%	82%	90%	84%	85%	100%	79%	77%	69%	89%	94%	88%	74%	95%
სასმელი წყლის ონკანი(ყველა ან ნაწილი) ხელმისაწვდომია შშმ მოსწავლეებისათვის	69%	47%	61%	52%	55%	42%	60%	70%	53%	36%	48%	44%	39%	63%

დანართი 4 ჰიგიენა

ჰიგიენა	ქლაქი	სოფელი	თბილისი	სულ	იმერეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	გურია	აჭარა	მცხეთა-მთიანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი
ხელსაბანი საშუალების ტიპი (სკოლების %)														
ონკანი	94%	78%	98%	81%	92%	96%	62%	83%	64%	96%	88%	76%	72%	95%
ავტონომიური ხელსაბანი მოწყობილობა	3%	6%	2%	5%	2%	6%	1%	2%	7%	4%	6%	8%	13%	5%
ავზი/სათლი	5%	4%	0%	4%	5%	0%	10%	2%	3%	0%	0%	4%	8%	0%
არცერთი	1%	15%	0%	11%	4%	0%	29%	15%	27%	0%	6%	16%	15%	5%
ონკანი/ხელსაბანი სკოლის შიგნით	79%	29%	79%	41%	41%	26%	29%	38%	19%	46%	53%	32%	50%	37%
ხელსაბანების რაოდენობა და მდგომარეობა														
მოსწავლეების საშუალო რაოდენობა 1 ფუნქციონირებად ხელსაბანზე	118	78	71	85	61	154	124	82	108	69	50	60	100	36
ხელსაბანები გამართულად ფუნქციონირებს (% ხელსაბანების საერთო რაოდენობიდან)	77%	82%	82%		78%	93%	82%	74%	67%	96%	88%	74%	76%	68%
ხელსაბანი სუფთაა (% ხელსაბანების საერთო რაოდენობიდან)	66%	69%	52%		76%	91%	52%	56%	42%	75%	67%	76%	62%	71%
სახარჯი მასალები და განათება ხელსაბანთან														
ყველა ხელსაბანთან არის საპონი (სკოლების %)	13%	12%	4%	12%	19%	13%	11%	2%	5%	7%	12%	16%	17%	21%
ხელსაბანებთან არის სანაგვე ყუთი (სკოლების %)	85%	49%	88%	59%	74%	77%	38%	62%	29%	64%	61%	40%	43%	74%
ხელსაბანებთან არის პირსახოცი (სკოლების %)	4%	5%	4%	5%	7%	4%	5%	0%	8%	4%	3%	0%	3%	16%
ხელსაბანებთან არის განათება (სკოლების %)	58%	18%	73%	30%	39%	19%	11%	21%	19%	32%	35%	16%	26%	26%
ხელსაბანების ხელმისაწვდომობა														
ხელსაბანი (ყველა ან ნაწილი) ხელმისაწვდომია დაწყ. კლასის მოსწავლეებისთვის(სკოლების % )	92.0%	75.9%	90.2%	79.8%	85.0%	98.1%	61.6%	78.7%	59.3%	96.4%	87.9%	76.0%	73.6%	84.2%
ხელსაბანი (ყველა ან ნაწილი) ხელმისაწვდომია შშმ მოსწავლეებისთვის(სკოლების % )	68.0%	39.0%	72.5%	46.7%	49.5%	30.2%	43.8%	72.3%	45.8%	35.7%	28.8%	32.0%	41.7%	73.7%

დანართი 5 სანიტარია

სანიტარია	ქალაქი	სოფელი	თბილისი	სულ	იმერეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	გურია	აჭარა	მცხეთა-მთიანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთი
სან-კვანძების ტიპები														
მხოლოდ გაუმჯობესებული ტუალეტი (სკოლების %)	86%	63%	100%	70%	87%	48%	74%	81%	59%	68%	84%	25%	39%	84%
მხოლოდ არაგაუმჯობესებული ტუალეტი (სკოლების %)	8%	33%		26%	11%	42%	26%	9%	41%	32%	9%	71%	53%	11%
შერეულად გაუმჯობესებული და არაგაუმჯობესებული ტუალეტები (სკოლების %)	6%	4%		4%	2%	10%		11%			6%	4%	8%	5%
ტუალეტი სკოლის შიგნით (სკოლების %)	79%	19%	100%	35%	36%	30%	22%	28%	15%	18%	49%	20%	26%	37%
ხელსაშანი ტუალეტის ჯიხურში ან მის ახლოს	88%	64%	98%	71%	69%	98%	64%	61%	47%	100%	73%	68%	57%	63%
სან-კვანძების ფუნქციონირება და მდგომარეობა														
მოსწავლეების საშუალო რაოდენობა 1 ფუნქციონირებად ტუალეტზე	54	29	54	36	24	43	55	35	30	21	32	24	38	12
ტუალეტები სუფთაა (% ტუალეტების საერთო რაოდენობიდან)	60%	45%	61%	53%	64%	84%	39%	35%	15%	33%	53%	59%	28%	65%
ტუალეტები გამართულად ფუნქციონირებს (% ტუალეტების საერთო რაოდენობიდან)	88%	77%	94%	84%	92%	93%	74%	91%	58%	95%	68%	90%	67%	77%
ცალკე ტუალეტი ბიჭებისა და გოგონებისათვის	100%	95%	100%	97%	100%	96%	95%	96%	97%	93%	98%	88%	96%	89%
ცალკე ტუალეტი მასწავლებლებისათვის	69%	44%	71%	50%	59%	77%	56%	49%	29%	36%	50%	32%	35%	21%
სახარჯი მასალები და განათება ტუალეტთან														
ყველა ტუალეტის ჯიხურთან არის ტუალეტის ქაღალდი	11.0%	8.0%	2.0%	8.0%	8%	9%	5%	6%	5%	11%	11%	8%	7%	32%
ტუალეტში არის განათება	63%	20%	92%	33%	42%	21%	15%	21%	25%	29%	42%	16%	17%	37%
ტუალეტების ხელმისაწვდომობა														
დაწყებითი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მარტო შევიდნენ ტუალეტში	99%	89%	94%	91%	98.1%	98.1%	95.9%	70.2%	66.1%	96.4%	93.9%	92.0%	93.1%	100.0%
ტუალეტი (ყველა ან ნაწილი) ხელმისაწვდომია შშმ მოსწავლეებისათვის	45%	29%	41%	33%	39%	28%	53%	30%	19%	36%	26%	28%	18%	42%

დანართი 6 ნარჩენები

ნარჩენები	ქალაქი	სოფელი	თბილისი	სულ	იმერეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	გურია	აჭარა	მცხეთა-მთიანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო-სვანეთი
<b>კანალიზაციის სისტემის მდგომარეობა</b>														
სკოლას აქვს კანალიზაციის სისტემა (სრული)	81%	31%	98%	45%	36%	75%	26%	55%	20%	50%	56%	16%	36%	32%
სკოლას აქვს კანალიზაციის სისტემა (ნაწილობრივი)	5%	9%	0%	8%	13%	6%	1%	4%	0%	25%	14%	28%	3%	5%
კანალიზაციის სისტემა ფუნქციონირებს	83%	39%	98%	51%	48%	80%	22%	55%	20%	54%	62%	20%	39%	37%
<b>ფეკალური მასების გადინება</b>														
ცენტრალური საკანალიზაციო სისტემით	77%	7%	98%	26%	28%	18%	16%	27%	21%	7%	15%	16%	18%	11%
სეპტიკურ კონტეინერებში	6%	19%	2%	16%	24%	16%	12%	31%	2%	26%	30%	12%	3%	11%
სკოლის ტუალეტით სეპტიკური კონტეინერის გარეშე	12%	35%	0%	28%	7%	62%	29%	4%	9%	37%	38%	24%	75%	26%
სხვა (მანქანა, ჭა, ორმო, ჭაობი)	5%	39%	0%	30%	41%	4%	42%	38%	68%	30%	17%	48%	4%	53%
<b>ნახმარი წყლის გადაღრა</b>														
მიწაში სკოლის ტერიტორიაზე	9%	48%	3%	39%	34%	66%	32%	18%	55%	50%	27%	67%	42%	58%
აგროვებენ და გააქვთ სკოლის ტერიტორიის გარეთ	2%	8%	0%	7%	1%	0%	36%	8%	4%	0%	3%	4%	1%	5%
სპეციალური არხში	11%	27%	0%	22%	29%	9%	13%	32%	23%	36%	32%	4%	31%	21%
მიწაში ჩეჩმა ტუალეტის ქვეშ	3%	5%	3%	4%	6%	2%	0%	26%	0%	4%	3%	4%	3%	5%
საკანალიზაციო სისტემაში	74%	13%	94%	28%	30%	23%	19%	16%	17%	11%	35%	21%	24%	11%
<b>მყარი ნარჩენების გატანა*</b>														
იყრება ნაგავსაყრელზე სკოლის ტერიტორიაზე ან მის მახლობლად	3.0%	12.0%	0.0%	13.2%	7.5%	1.9%	8.2%	4.3%	22.0%	14.3%	19.7%	20.0%	1.4%	21.1%
ხდება ჩამარხვა სკოლის ტერიტორიაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე	0.0%	3.8%	0.0%	2.8%	6.5%	1.9%	4.1%	2.1%	1.7%	0.0%	4.5%	0.0%	1.4%	0.0%
ხდება დაწვა სკოლის ტერიტორიაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე	12.0%	45.4%	0.0%	36.0%	59.8%	45.3%	19.2%	36.2%	8.5%	35.7%	18.2%	28.0%	77.8%	36.8%
გროვდება და გააქვს დასუფთავების სამსახურს	63.0%	13.4%	86.2%	24.2%	18.7%	45.3%	28.8%	38.3%	10.2%	10.7%	25.8%	4.0%	16.7%	5.3%
გროვდება და გააქვთ სკოლის თანამშრომლებს	25.0%	27.6%	17.6%	26.3%	34.6%	11.3%	41.1%	17.0%	42.4%	42.9%	7.6%	56.0%	1.4%	57.9%
არ გააქვთ	2.0%	1.6%	0.0%	1.5%	0.0%	0.0%	0.0%	2.1%	10.2%	0.0%	0.0%	0.0%	1.4%	5.3%

დანართი 7 სკოლების ზოგადი მდგომარეობა

სკოლების ზოგადი მდგომარეობა	ქალაქი	სოფელი	თბილისი	სულ	იმერეთი	კახეთი	ქვემო ქართლი	შიდა ქართლი	სამცხე-ჯავახეთი	გურია	აჭარა	მცხეთა-მთიანეთი	სამეგრელო-ზემო სვანეთი	რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთი
<b>სკოლის ეზოს მდგომარეობა</b>														
სკოლას აქვს ეზო	99%	98%	94%	97%	100%	96%	96%	100%	97%	100%	94%	96%	100%	100%
სკოლის ეზო დაცულია ცხოველებისაგან	60%	64%	46%	62%	67%	57%	49%	55%	67%	79%	75%	63%	60%	74%
სკოლის ეზო სუფთაა	46%	41%	39%	42%	38%	85%	21%	19%	75%	39%	55%	32%	28%	16%
<b>საკლასო ოთახების მდგომარეობა</b>														
ფანჯრები	1.5%	5.7%	7.0%		2.5%	0.0%	4.7%	7.8%	13.8%	2.8%	4.2%	5.4%	6.0%	0.0%
იატაკი	6.6%	11.7%	10.9%		11.0%	0.0%	10.0%	9.2%	21.3%	9.1%	6.8%	10.9%	14.9%	14.6%
მერხები	1.6%	5.6%	2.8%		4.0%	0.0%	1.5%	.2%	19.5%	4.5%	5.1%	13.0%	2.3%	1.5%
ჭერი	5.6%	11.2%	7.2%		12.1%	0.0%	13.4%	4.2%	26.9%	4.5%	3.3%	13.0%	9.5%	14.1%
განათება	.9%	6.6%	1.3%		.4%	1.9%	4.5%	.6%	24.8%	8.1%	2.6%	16.6%	4.4%	0.0%
<b>სამედიცინო კაბინეტი</b>														
ექიმით	2.1%	.5%	17.6%	2.2%	0.0%	0.0%	1.4%	0.0%	3.4%	0.0%	1.6%	0.0%	0.0%	0.0%
მედდით	13.5%	.9%	11.8%	3.9%	2.8%	0.0%	1.4%	2.2%	1.7%	0.0%	10.9%	4.0%	4.2%	0.0%
ექიმით და მედდით	0.0%	.2%	0.0%	.2%	0.0%	0.0%	0.0%	2.2%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%	0.0%
პირველად სამედიცინო დახმარებას უწყვეტ სხვა	84.4%	98.4%	70.6%	93.7%	97.2%	100.0%	97.3%	95.7%	94.8%	100.0%	87.5%	96.0%	95.8%	100.0%

დანართი 8 წყალი სანიტარია და ჰიგიენა - საერთაშორისო სტანდარტი და მდგომარეობა საქართველოს საჯარო სკოლებში (შედარებითი ანალიზი)

სტანდარტი	მდგომარეობა საქართველოს საჯარო სკოლებში (კვლევის მიგნებები)
სკოლებს წყალი უწყვეტად მიეწოდებათ წყალმომარაგების მილსადენი სისტემით ან სხვა გაუმჯობესებული წყაროებიდან.	<p><b>გაუმჯობესებულ წყარო:</b> სკოლების 86% (თბილისი - 100%/ ქალაქი - 96%/სოფელი 82%);</p> <p><b>წყლის წყარო არც შენობაში და არც მის შემოგარენში არ არის:</b> (სოფელი 6%);</p> <p><b>წყლის მიწოდება გრაფიკით:</b> (სკოლების 20%);</p> <p><b>წყლის ძირითადი წყარო ფუნქციონირებს:</b> 87% (თბილისი 100%, ქალაქი 96%, სოფელი 83%)</p>
სკოლა აკმაყოფილებს წყლის უვნებლობის სტანდარტებს, რაც სასმელი წყლის გეგმიური შემოწმების შედეგად დგინდება.	<p><b>2010 წლის შემდეგ წყლის ხარისხის შემოწმება:</b> სკოლების 10%.</p> <p><b>წყლის გაუვნებელოება არასოდეს განუხორციელებია:</b> სკოლების 70% (მათ შორის იმ სკოლების 60%, რომლებიც წყლის ძირითად წყაროდ არაგაუმჯობესებულ წყაროებს იყენებენ.</p>
წყლის ონკანი განთავსებულია შენობის შიგნით.	<p><b>წყლის ონკანი შენობის შიგნით:</b> 44% (თბილისი - 84%, ქალაქი 86%, სოფელი 30%).</p>
სკოლას აქვს გამართული და სუფთა სან-კვანძები	<p><b>ჯიხურები სუფთაა:</b> ჯიხურების 53% (თბილისი 61%, ქალაქი 60%, სოფელი 45%);</p> <p><b>ჯიხურები ფუნქციონირებს:</b> ჯიხურების 84% (თბილისი 94%, ქალაქი 88%, სოფელი 77%)</p>
სკოლაში არის ცალკე ტუალეტის ჯიხურები ჰედაგოგებისათვის, სხვადასხვა სქესის მოსწავლეებისათვის	<p><b>ცალკე ტუალეტები ბიჭებისა და გოგონებისათვის:</b> სკოლების 97% (თბილისი და ქალაქი 100%, სოფელი 95%)</p> <p><b>ცალკე ტუალეტები მასწავლებლებისათვის:</b> სკოლების 50% (თბილისი 71%, ქალაქი 69%, სოფელი 44%)</p>
ტუალეტების ჯიხურების რაოდენობა (25 გოგონაზე ერთი უნიტაზი, 30 ბიჭზე- ერთი უნიტაზი)	<p><b>მოსწავლეთა რაოდენობის და უნიტაზების საშუალო ფარდობა:</b> 36 მოსწავლეზე 1 უნიტაზი (თბილისი და ქალაქი 54/1, სოფელი 29/1)</p>
სან-კვანძები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის	<p><b>სან-კვანძები ხელმისაწვდომია შშმ მოსწავლეებისათვის:</b> სკოლების 33% (თბილისი 41%, ქალაქი 45%, სოფელი 29%)</p> <p><b>სან-კვანძები ხელმისაწვდომია დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის:</b> სკოლების 91% (თბილისი 94%, ქალაქი 99%, სოფელი 89%)</p>

ცენტრალური საკანალიზაციო სისტემის არარსებობის პირობებში სანკვანძი განთავსებულია შენობის გარეთ არანაკლებ 20 მ-ის და არა უმეტეს 200 მეტრის დაშორებით.	<b>გარე სანკვანძი განთავსებულია დასაშვებ მანძილზე სკოლიდან: სკოლების 78%</b>
სკოლას აქვს გამართული და სუფთა ხელსაბანები	<b>ხელსაბანები სუფთაა: (თბილისი 52%, ქალაქი 66%, სოფელი 69%); ხელსაბანები ფუნქციონირებს: (თბილისი 82%, ქალაქი 77%, სოფელი 82%)</b>
ხელსაბანთან არის საპონი	სკოლების 12% (თბილისი 4%, ქალაქი 13%, სოფელი 12%)
ხელსაბანი ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის	<b>ხელსაბანი ხელმისაწვდომია შშმ მოსწავლეებისათვის: სკოლების 47% (თბილისი 73%, ქალაქი 68%, სოფელი 39%) ხელსაბანი ხელმისაწვდომია დაწყებითი კლასების მოსწავლეებისათვის: სკოლების 79% (თბილისი 90%, ქალაქი 92%, სოფელი 76%)</b>
სკოლაში რეგულარულად ხორციელდება მყარი ნარჩენების გატანა	<b>მყარი ნარჩენების გატანა ხდება სულ მცირე დღეში ერთხელ: სკოლების 44% (თბილისი 80%, ქალაქი 53%, სოფელი 38%)</b>
ჩამდინარე წყლები გაედინება უსაფრთხოდ	სკოლების 57% (თბილისი 90%, ქალაქი 87%, სოფელი 47%)

დანართი 9 წელის, სანიტარიისა და ჰიგიენის მდგომარეობა ეთნიკური უმცირესობების სკოლებში

ჰიგიენა	სამცხე-ჯავახეთი		ქვემო ქართლი	
	ეთნიკური უმცირესობების სკოლები	სხვა სკოლები	ეთნიკური უმცირესობების სკოლები	სხვა სკოლები
<b>ხელსაზანი საშუალების ტიპი (სკოლების %)</b>				
ონკანი	51.9%	75.0%	53.3%	67.4%
ავტონომიური ხელსაზანი მოწყობილობა		9.4%		2.3%
ავზი/სათლი	3.7%	3.1%	10.0%	7.0%
არცერთი	44.4%	12.5%	36.7%	23.3%
ონკანი/ხელსაზანი სკოლის შიგნით	18.5%	18.8%	3.3%	46.5%
<b>ხელსაზანების რაოდენობა და მდგომარეობა</b>				
ხელსაზანები გამართულად ფუნქციონირებს (% ხელსაზანების საერთო რაოდენობიდან)	81.8%	62.7%	85.2%	81.4%
ხელსაზანი სუფთაა (% ხელსაზანების საერთო რაოდენობიდან)	50.0%	38.8%	11.1%	63.9%
<b>სახარჯი მასალები და განათება ხელსაზანთან</b>				
ყველა ხელსაზანთან არის საპონი (სკოლების %)	4.0%	13.0%	10.0%	11.6%
ხელსაზანებთან არის სანაგვე ყუთი (სკოლების %)	11.1%	43.8%	26.7%	46.5%
ხელსაზანებთან არის განათება (სკოლების %)	7.4%	28.1%	6.7%	14.0%
<b>ხელსაზანების ხელმისაწვდომობა</b>				
ხელსაზანი (ყველა ან ნაწილი) ხელმისაწვდომია დაწყ. კლასის მოსწავლეებისთვის(სკოლების % )	37.0%	78.0%	53.0%	67.0%
ხელსაზანი (ყველა ან ნაწილი) ხელმისაწვდომია შშმ მოსწავლეებისთვის(სკოლების % )	37.0%	53.0%	43.3%	44.0%

წყალი	სამცხე-ჯავახეთი		ქვემო ქართლი	
	ეთნიკური უმცირესობების სკოლები	სხვა სკოლები	ეთნიკური უმცირესობების სკოლები	სხვა სკოლები
<b>წყლის წყაროების ტიპი</b>				
გაუმჯობესებული ძირითადი წყარო (სკოლების %)	51.9%	96.9%	60%	88%
არაუმჯობესებული ძირითადი წყარო (სკოლების %)			30%	5%
სკოლაში ან მის შემოგარენში წყალი არ არის	48.1%	3.1%	10.0%	7.0%
წყლის ონკანი სკოლის შიგნით (სკოლების %)	18.5%	18.8%	3.3%	46.5%
მილსადენით წყალმომარაგება (სკოლების %)	51.9%	96.9%	60.0%	83.7%
<b>წყლის წყაროების ხელმისაწვდომობა</b>				
წყლის ძირითადი წყარო ფუნქციონირებს (დაკვირვების მომენტისთვის - სკოლების %)	48.1%	75.0%	63.3%	74.4%
სასმელი წყლის ონკანი ხელმისაწვდომია დაწყებითი კლასის მოსწავლეებისათვის	40.7%	93.0%	70%	86%
სასწმლი წყლის ონკანი(ყველა ან ნაწილი) ხელმისაწვდომია შშმ მოსწავლეებისათვის	37.0%	65.6%	53%	65%

სანიტარია	სამცხე-ჯავახეთი		ქვემო ქართლი	
	ეთნიკური უმცირესობების სკოლები	სხვა სკოლები	ეთნიკური უმცირესობების სკოლები	სხვა სკოლები
<b>სან-კვანძების ტიპი</b>				
გაუმჯობესებული ტუალეტი (სკოლების %)	53.8%	62.5%	72.4%	74.4%
ტუალეტი სკოლის შიგნით (სკოლების %)	7.4%	21.9%	7.4%	21.9%
ცალკე ტუალეტი მასწავლებლებისთვის	100.0%	100.0%	100.0%	92.9%
ცალკე ტუალეტი გოგონებისთვის და ვაჟებისთვის	84.0%	100.0%	100.0%	100.0%
<b>სან-კვანძების ფუნქციონირება და მდგომარეობა</b>				
ტუალეტები სუფთაა (% ტუალეტების საერთო რაოდენობიდან)	3.3%	21.3%	7.1%	56.4%
ტუალეტები გამართულად ფუნქციონირებს (% ტუალეტების საერთო რაოდენობიდან)	32.6%	71.9%	53.9%	85.0%
<b>სახარჯი მასალები და განათება ტუალეტთან</b>				
ტუალეტში არის განათება	14.8%	34.4%	10.0%	18.6%
<b>ტუალეტების ხელმისაწვდომობა</b>				
დაწყებითი კლასის მოსწავლეებს შეუძლიათ მარტო შევიდნენ ტუალეტში	40.7%	87.5%	100.0%	93.0%
ტუალეტი (ყველა ან ნაწილი) ხელმისაწვდომია შშმ მოსწავლეებისათვის	7.4%	28.0%	70.0%	42%

ნარჩენები	სამცხე-ჯავახეთი		ქვემო ქართლი	
	ეთნიკური უმცირესობების სკოლები	სხვა სკოლები	ეთნიკური უმცირესობების სკოლები	სხვა სკოლები
<b>ფეკალური მასების გადინება</b>				
ცენტრალური საკანალიზაციო სისტემით	19.2%	22.6%	3.3%	25.6%
სეპტიკურ კონტეინერებში		3.2%	16.7%	9.3%
სკოლის ტუალეტით სეპტიკური კონტეინერის გარეშე		16.1%	23.3%	32.6%
სხვა (მანქანა, ჭა, ორმო, ჭაობი)	80.8%	58.1%	57.0%	33%
<b>ნახშირი წყლის გადაღვრა</b>				
მიწაში სკოლის ტერიტორიაზე	70.0%	44.4%	33.3%	31.0%
აგროვებენ და გააქვთ სკოლის ტერიტორიის გარეთ	5.0%	3.7%	46.7%	28.6%
სპეციალური არხში	15.0%	29.6%	13.3%	11.9%
საკანალიზაციო სისტემაში	10.0%	22.2%	6.7%	28.6%
<b>სკოლის ეზოს მდგომარეობა</b>				
სკოლის ეზო სუფთაა	70.4%	78.1%	20.0%	20.9%
<b>მყარი ნარჩენების გატანა*</b>				
იყრება ნაგავსაყრელზე სკოლის ტერიტორიაზე ან მის მახლობლად	29.6%	15.6%	13.3%	4.7%
ხდება ჩამარხვა სკოლის ტერიტორიაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე	3.7%		10.0%	
ხდება დაწვა სკოლის ტერიტორიაზე ან მიმდებარე ტერიტორიაზე	14.8%	3.1%	16.7%	20.9%
გროვდება და გააქვს დასუფთავების სამსახურს	3.7%	15.6%	10.0%	41.9%
გროვდება და გააქვთ სკოლის თანამშრომლებს	29.6%	53.1%	50.0%	32.6%
არ გააქვთ	14.8%	6.3%		